სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N1 (9145) 10 იანვარი. 2015 წელი ფასი 50 თეთრი

5

მაცხოვრის ნათლისღება_დღე, როცა სამება გაცხადდა

კალაძემ ჟურნალისტებისგან შეიტყო

3

5

მრავალს ეამაყები, მრავლისთვის მაგალითად იქეცი

მუნიციპალიტეტის საკრებულო-გამგეობა დაკომპლექტდა

4

ნომინაციაზე "წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალი" სამტრედიელი ქარატისტი წარადგინეს



6

„ჩვენი ბაცერნა რეალობისთვის ცხელი ლობის მხცოვრები ცოცხ ვრ ვრან"

3

თვალი დაყოგეს სიბეერეს...

ვიზიარებთ ფრანგი ხალხის მწუხარებას



4

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა

"დროა, სამტრედიას სახელმწიფო თეატრი ჰქონდეს"

მუნიციპალიტეტის საკრებულო-გამგეობა დაკომპლექტდა

ნინო ნანიტაშვილი

საატესტაციო-საკონკურსო კომისია სამდივნოსთან ერთად 2014 წლის 31 დეკემბერს შეიკრიბა და კონკურსის საბოლოო შედეგები გამოავლინა. შეგახსენებთ, რომ 39 ვაკანსიაზე შემოვიდა 1312 განაცხადი, კონკურსის პირველი ეტაპის (დოკუმენტების გადარჩევა) შემდეგ კონკურსის მე-2 ეტაპზე მონაწილეობის უფლება მიიღო 229 აპლიკანტმა. მე-2 ეტაპის (ტესტირების) შედეგების შესაბამისად გასაუბრებაზე დაშვებული იქნა 126 კონკურსანტი. გასაუბრება გაიმართა 2014 წლის 28-29 დეკემბერს, ორ ნაწილად.

კომისიამ უზრუნველყო ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის შერჩევის და მათი თანამდებობაზე დანიშვნის პროცესების გამჭვირვალობა, დაცული იყო კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა. შეფასებული იქნა კონკურსში მონაწილე კანდიდატები პროფესიული ცოდნის დონის, პიროვნული თვისებების, მოტივაციისა და უნარ-ჩვევების, დასაკავებელი ვაკანტური თანამდებობის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნების ცოდნის შეფასების შესაბამისად. კონკურსანტის შეფასება განხორციელდა ქულათა სისტემით, თითოეული ვაკანსიის შესაბამისად.

კონკურსის შედეგების მიხედვით თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილია 1 კანდიდატი, გარდა ვაკანსიაზე _ გამგებლის წარმომადგენელი სოფელ დიდ ჯიხაიშში, ვინაიდან ვაკანსიაზე _ გამგებლის წარმომადგენელი სოფელ დიდი ჯიხაიშში კომისია შესაბამის ვაკანსიაზე უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.

ღღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით _ მომხსენებელმა კომისიას გააცნო ვაკანსიების მიხედვით ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილი კანდიდატები:

შეგახსენებთ, რომ წინა წლის ნოემბერში სამტრედიის საჯარო მოხელეთა ატესტაცია გაიმართა, რომლის შედეგადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასაქმებული 11-ი შტატიანი თანამშრომლიდან ზღვარი 7-მა ვერ გადალახა. ავტომატურად შემცირდა 7 შტატი. დეკემბერში კონკურსი 5 მოვალეობის შემსრულებლის ვაკანსიაზე გამოცხადდა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2015 წლის რეორგანიზაციის შედეგად 16-ის ნაცვლად აპარატში 9 შტატიანი თანამშრომელი დარჩა. ცნობისათვის, 2014 წლის დეკემბრის ბოლომდე საკრებულოს აპარატში საშტატო ერთეულში 16 თანამშრომელი ირიცხებოდა, ხოლო 3 სახელშეკრულებო მოსამსახურედ ითვლებოდა. ახალი წლიდან ხელშეკრულებით, ნაცვლად სამისა, ორი თანამშრომელი აიყვანეს. კერძოდ, დამლაგებელი და მძღოლი.

ახალ საბიუჯეტო წლამდე მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკონკურსო ეტაპები დასრულდა.

ადგილები შეინარჩუნეს ყოფილმა მოვალეობის შემსრულებლებმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანაშემწემ მედეა ონიანმა, მთავარმა სპეციალისტმა გენდერული თანასწორობის საკითხებში თამილა კეკელიძემ, მთავარმა სეციალისტმა იურიდიულ საკითხებში ნორა იანიკოვმა. საკრებულოს წამყვანი სპეციალისტის პოსტი შეინარჩუნა ირმა გოგიამ. აპარატში ერთადერთი ახალი სახე სერგო კოპალეიშვილია, რომელიც საკრებულოს მთავარი სპეციალისტი გახდა საორგანიზაციო საკითხებში.

ამდენად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 9 კაციანი აპარატი შემდეგნაირად დაკომპლექტდა:

აპარატის უფროსი ივანე ხუხუნაიშვილი, თავმჯდომარის თანაშემწე მედეა ონიანი, მთავარი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში თამილა კეკელიძე, მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ნორა იანიკოვი, მთავარი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში სერგო კოპალეიშვილი, მთავარი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში მაია ღოღობერიძე, წამყვანი სპეციალისტი ირმა გოგია, აპარატის უფროსი სპეციალისტი ნათია დოლიძე, სპეციალისტი ლია ყურულაშვილი.

იანვრის ბოლოსთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სავარაუდოდ კონკურსი აღარ გაიმართება.

ვაკანსიების მიხედვით ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნად მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარდგენილი კანდიდატების ვინაობაც ცნობილია:

1. ადმინისტრაციული სამსახური _ იურიდიული განყოფილების უფროსი _ ნიკოლოზ სანაძე;
2. ადმინისტრაციული სამსახური _ იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი _ სოფიო გიგინეიშვილი;
3. ადმინისტრაციული სამსახური _ გამგებლის წარმომადგენელი ქალაქ სამტრედიაში _ თენგიზ ცაგურია;
4. ადმინისტრაციული სამსახური _ გამგებლის წარმომადგენელი გომის თემში _ ზაზა ნიკოლეიშვილი;
5. ადმინისტრაციული სამსახური _ გამგებლის წარმომადგენელი სოფელ იანეთში _ ვაჟა კოხრეიძე;
6. ადმინისტრაციული სამსახური _ გამგებლის წარმომადგენელი დაბა კულაშში _ ვლადიმერ სოხანეიშვილი;
7. ადმინისტრაციული სამსახური _ გამგებლის წარმომადგენელი მელაურის თემში _ სოფიო კიკაჩეიშვილი;
8. ადმინისტრაციული სამსახური _ გამგებლის წარმომადგენელი ეწრის თემში _ რევაზ ივანიაძე;
9. ადმინისტრაციული სამსახური _ გამგებლის წარმომადგენელი ნაბაკევის თემში _ ოთარ წულეისკირი;
10. ადმინისტრაციული სამსახური _ გამგებლის წარმომადგენელი ღანირის თემში _ თამაზ გაბელაია;
11. ადმინისტრაციული სამსახური _ გამგებლის წარმომადგენელი საჯავახოს თემში _ შავლეგ თარგამაძე;
12. ადმინისტრაციული სამსახური _ გამგებლის წარმომადგენელი სოფელ გორმაღალში _ ხათუნა ლებანიძე;
13. ადმინისტრაციული სამსახური _ გამგებლის წარმომადგენელი ტოლების თემში _ ალექსი ბოცვაძე;
14. ადმინისტრაციული სამსახური _ გამგებლის წარმომადგენელი ოფეთის თემში _ თეიმურაზ ჩხაიძე;
15. ადმინისტრაციული სამსახური _ გამგებლის წარმომადგენელი გამოჩინებულის თემში _ გოჩა ქორიძე;
16. ადმინისტრაციული სამსახური _ გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ბაშში _ რამაზ კაშია;
17. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ტერიტორიის კეთილმოწყობის საკითხებში _ ავთანდილ ნაცვლიშვილი;
18. სამტრედიის მუნიციპალიტეტის შესყიდვების, ადგილობრივი მოსაკრებლებისა და ზედამხედველობის სამსახურის შესყიდვების, ადგილობრივი მოსაკრებლების და ზედამხედველობის განყოფილების უფროსი _ ირაკლი სულავა;
19. სამტრედიის მუნიციპალიტეტის შესყიდვების, ადგილობრივი მოსაკრებლებისა და ზედამხედველობის სამსახურის შესყიდვების, ადგილობრივი მოსაკრებლების და ზედამხედველობის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი შესყიდვების საკითხებში _ თენგიზ მეიშვილი;
20. სამტრედიის მუნიციპალიტეტის შესყიდვების, ადგილობრივი მოსაკრებლებისა და ზედამხედველობის სამსახურის შესყიდვების, ადგილობრივი მოსაკრებლების და ზედამხედველობის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი მოსაკრებლების საკითხებში _ ირინა ფოცხვერია;
21. ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკისა და ქონების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ეკონომიკის საკითხებში _ ალექსანდრე ნაცვლიშვილი;
23. ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკისა და ქონების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი სტატისტიკის საკითხებში _ ოთარ ფხაკაძე;
24. ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკისა და ქონების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში _ ირაკლი გეგეშიძე;
25. ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკისა და ქონების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი აგრარულ საკითხებში _ რაულ ბელთაძე;
26. ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკისა და ქონების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ბუნებრივი რესურსების საკითხებში _ გელა კოპალეიშვილი;
27. შიდა აუდიტის სამსახურის მონიტორინგისა და შიდა კონტროლის განყოფილების უფროსი _ ზაალ ჭოხონელიძე;
28. შიდა აუდიტის სამსახურის მონიტორინგისა და შიდა კონტროლის განყოფილების მთავარი სპეციალისტი _ დალი ხუჭუა;
29. შიდა აუდიტის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების უფროსი _ ია ბერძული;
30. შიდა აუდიტის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი _ გიორგი ხურციძე;
31. სამხედრო გაწვევისა და აღრიცხვის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, ვანკანსიის № 21373 _ ვაჟა თევზაძე;
32. სამხედრო გაწვევისა და აღრიცხვის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, ვაკანსიის № 21378 _ ანზორ ბუაძე.

კონკურსში გამარჯვებულები ჯერ შესაბამის თანამდებობებზე დანიშნულები არ არიან. საპრეტენზიო კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შედეგები ეცნობება, რომლის შემდეგაც დამსაქმებელ ორგანიზაციას უფლება მიეცემა, წარმოდგენილი კანდიდატები შესაბამის ვაკანსიებზე დაინიშნონ.

მოვიდა ახალი წელი და

როგორც ყოველთვის, აიშალა ფიქრები. მაინც რით იყო მნიშვნელოვანი 2014 წელი?

წლის მთავარ მოვლენად საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მივიჩნიოთ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სათანადო შეთანხმების მიღწევა რუსეთში საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის, ხილის გატანით რომ გამოიხატა, რითაც ასრულდა ქართველი კაცის, ქართველ ფერმერთა, მეურნეთა მრავალწლიანი ოცნება და ნატვრა.

ხალხის საყოფაცხოვრებო პირობები 2014 წელს მაინცდამაინც არ გაუმჯობესებულა, თუმცა, უმადურობა იქნება, არაფერი ვთქვათ ცენტრალური ხელისუფლების იმ ნაბიჯზე, საყოველთაო დაზღვევის (ჯანდაცვის) პაკეტის ამოქმედებას რომ უკავშირდება.

არა მარტო მოსახლეობაზე, ფინანსისტებსა და პოლიტიკოსებზეც შოკისმომგვრელად იმოქმედა გვიან შემოდგომაზე ლარის კურსის ვარდნამ და "ლარის ყავარჯნით დაჭერამ".

და მაინც, რას ველით ახალი წლიდან?

მოლოდინის ახდენა-არახდენაზე, უდიდესი ოპტიმიზმის მიუხედავად, ჯერ ვერაფერს ვიტყვით, თუმცა დიდი სურვილი გვაქვს ახალი წლიდან თვალშისაცემი იყოს ხალხის სოციალური ყოფის გაუმჯობესება, რაც თურქეთ-ესპანეთ-საბერძნეთ-იტალიაში... გადახვეწილი ჩვენი თანამემამულეების დაბრუნების წინაპირობა უნდა გახდეს.

აგუგუნებული ფაბრიკა-ქარხნების ბუმს 2015 წელს ნამდვილად არ ველით, თუმცა, როგორც კახეთსა და აჭარაში, ისე იმერეთში, კერძოდ, სამტრედიაში კიდევ ერთი მარტივი ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმო თუ დაიწყებს ფუნქციონირებას და ხალხი დასაქმდება, კარგზე უკეთესი იქნება.

ვისურვებდით, 2015 წელს დასრულდეს ყოფილ და ამჟამინდელ მმართველ პარტიათა შორის გაუთავებელი დაპირისპირება. ხალხის გამოკვება ყოფილ მაღალჩინოსანთა დაკავებებითა და ბრალდებათა წაყენებით, რომლებსაც ხალხზე, მათ ყოფაზე არანაირი დადებითი გავლენა არ მოაქვს.

2015 წელი მნიშვნელოვანი უნდა იყოს სამტრედიისათვის. 2015 წლის ზაფხულში უეჭველად უნდა აღინიშნოს ქალაქ სამტრედიის დაარსების 145 წლის იუბილე, შემოდგომაზე კი, ჩვენი რაიონის ცოცხალი მემატიანეს, გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" დაარსების 85-ე წლისთავი. ლეგენდარული მსახიობის, ეროსი მანჯგალაძის 90 წლის იუბილე და ა. შ.

მოვიდა ახალი წელი. თითოეულ ქართველს, ქართულ ოჯახს, პლანეტის კეთილი ნების ადამიანს ბედნიერება და სიხარული, ხვავი და ბარაქა, საქართველოს გამთლიანება, აყვავება და აღორძინება გვინდა ვუსურვოთ!

ლევან გაგნიძე

ვიზიარებთ ფრანგი ხალხის მწუხარებას

7 იანვარს სატირულ ჟურნალ Charlie He bdo-ზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა. მათ შორის არიან ჩვენი კოლეგები, ჟურნალისტები. ვგმობთ გამოხატვის თავისუფლების დათრგუნვისკენ მიმართულ ძალადობას და ვიზიარებთ ფრანგი ხალხის მწუხარებას.

გაზეთ "სამტრედიის მაცნე"

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გთავაზობთ ვაკანსიებს მთელი საქართველოს მასშტაბით, რომელიც მოძიებულ იქნა პროგრამა Worknet-ში დარეგისტრირებული შრომის მაძიებელთათვის.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მობრძანდნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში 1-ლ სართულზე და მიიღონ მათთვის სასურველი ინფორმაცია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა

კალაძემ ჟურნალისტებისგან შეიტყო

ჟურნალისტების კითხვებს ვერც სადღესასწაულო ღონისძიებაზე ასცდა კახი კალაძე. რუსული მედიის ინფორმაციას "ნეფტგაზის" რუსეთზე მიყიდვასთან დაკავშირებით, მან აბსურდული უწოდა, მეტიც, ეს ამბავი თქვენგან, ჟურნალისტებისგან შევიტყვეო, განაცხადა. რაც შეეხება, ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობას, "ეს საინტერესო პროექტია. ვვარაუდობთ გერმანულ კომპანიასთან ერთად მის განხორციელებაზე. ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროები, აგრეთვე, ნავთობის სააგენტო მონაწილეობენ ამ პროცესში. თუმცა, მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაში არ შესულა". _ აღნიშნა მან. სიახლე აღმოჩნდა მისთვის ამ პროექტში რუსეთის მონაწილეობა და მით უმეტეს, აფხაზეთის ტერიტორიაზე რამენაირი ქსელის გავლა. მისი განცხადებით ამ ერთი თვის დაწყებული პროექტის ირგვლივ საუბარი ჯერ მხოლოდ მემორანდუმის გაფორმების დონეზეა.

ამონარიდზე პატრიარქის საშობაო ეპისტოლედან, რომელშიც იგი ოჯახების გახშირებული ნგრევის მიზეზად უმუშევრად დარჩენილი მამაკაცების როლის შესუსტებად მიიჩნია და ხელისუფლებას ამ კუთხით გააქტიურებისაკენ მოუწოდებს, ვიცე-პრემიერმა ასეთი კომენტარი გაკეთა: "ვეთანხმები პატრიარქის ეპისტოლეს. უმუშევრობა ქვეყნის ყველაზე დიდი პრობლემაა. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს მის მოსაგვარებლად. თუმცა, ის, რომ ბოლო ორი წელია ბიზნესი ქვეყანაში ძალიან გააქტიურდა და არაერთი საწარმო შეიქმნა მისასალმებელია. პროგრამით "აწარმოე საქართველოში" ამ კუთხით მნიშვნელოვანი ძვრებია".

ია ბაბუნაშვილი

თვალი დაყყგეს სიბერეს...

ლევან გაბეჩავა

ქალბატონმა ქეთო ბურკაძე-ჩაჩუამ ეს სიტყვები კიდევ ერთხელ მაშინ გაიმეორა, როცა 31 დეკემბერს, შუადღისას, მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია, გამგეობის სოციალური სფეროს სამსახურის უფროსი, ლევან ახობაძე და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მერაბ უღრელიძე გომში, ახალი წლის მისალოცად საუკუნის ტოლ ქალბატონებს ეწვივნენ.

გომში მისულებს, სოფლის მაჟორიტარი საკრებულოს წევრი დავით ამაღლობელიც შემოგვიერთდა. 10 იანვარს ქალბატონი ქეთო 101 წლისა გახდება, თუმცა ვინც მას იცნობს, დაგვერწმუნება, რომ ამ ქალბატონმა დაამარცხა სიბერე. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა საახალწლო ამანათი გადასცეს ქალბატონ ქეთოს, ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვეს და კარს მომდგარი შობა-ახალი წელი მიულოცეს. ყველაზე მეტად ქეთო ბებო უკრაინაში მყოფ შვილიშვილთან სატელეფონო საუბარმა გაახარა. ამჯერად საკრებულოს წევრმა, მერაბ უღრელიძემ აიღო ინიციატივა _ ბებია და თავისი მეგობარი, უკრაინაში მცხოვრები ჩაჩუების ოჯახის შვილიშვილი ტელეფონით ერთმანეთს დააკავშირა.

თავად მიგვაცილა ჭიშკრამდე ქეთო ბებომ სტუმრები და წრფელი ლოცვა და კეთილი სურვილები გამოგვაყოლა.

გალინა ნიკურაძეც გომელია, ამ ქალბატონმაც საუკუნე უკან მოიტოვა, თუმცა, ქალბატონ ქეთოსგან განსხვავებით, წელთა სრბოლას მისთვის კვალი დაუმჩნევია. გალინა ბებოსაც საახალწლო ამანათი მიართვეს სტუმრებმა და ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვეს.

_ უღრმესი მადლობა მობრძანებისთვის, დაფასებისთვის, კეთილი სურვილებისთვის, მრავალი ბედნიერი ახალი წელი გაგთენებოდეთ. _ ასე გამოხატეს მადლიერება ხანდაზმულთა ოჯახის წევრებმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებისადმი.

სათნოების სახლშიც გველოდნენ

სათნოების სახლის ბინადართ მზრუნველობა და ყურადღება არც ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველის, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესის, მიტროპოლიტ, მეუფე საბასგან აკლიათ, არც მუნიციპალიტეტის თავკაცთაგან და არც ცალკეული ორგანიზაციებისაგან.

31 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია, გამგეობისა და საკრებულოს სამსახურებისა და კომისიათა თავმჯდომარეები სათნოების სახლის ბინადართ კეთილი სურვილებითა და საახალწლო ნობათით ხელდამშვენებულები ეწვივნენ. დიდად გაიხარეს მოხუცებმა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა "ჩანგმა" (ხელმძღვანელი მერი ტკვაცირია), როგორც ამბობენ, ცეცხლი დაანთო, ყველასთვის ნაცნობი და ახლობელი მელოდიები შეასრულა. აღფრთოვანებულმა ბინადრებმა წრე შეკრეს, ხელები გაშალეს და... იმ თბილ არაჩვეულებრივ საღამოს ბედნიერი იყო სტუმარიცა და მასპინძელიც. მათ თვალებზე აკიაფებული ცრემლი იყო ამისი დასტური. გზნებით წაიკითხა ქალბატონი მაყვალა ჩირგაძის ლექსი "გილოცავთ" ერეკლე ხუჭუამ. სათნოების სახლის დირექტორმა მამა შიომ (ჭაფოძე) სტუმრები სანთლებით დაასაჩუქრა.

_ მადლობა ყველას ჩვენდამი გამოჩენილი ზრუნვისათვის, თანადგომისათვის, გაიხარეთ, რომ არ გავიწყდებით, ბედნიერი შობა-ახალი წელი გაგითენოთ ღმერთმა! _ სათნოების სახლის ბინადართა სახელით მადლობა სტუმრებს ქალბატონებმა ჯულიეტა ჩიხლაძე-ბერულავამ და რუსუდან სტურუამ გადაუხადეს.

_ ჩვენი სტუმრობითა და მოკრძალებული ამანათებით თქვენდამი პატივისცემა, თანადგომა და სიყვარული გამოვხატეთ. თავი მარტოდ არ იგრძნოთ, ჩვენ კვლავაც გინახულებთ, მრავალს, მრავალს დაესწარით. ბედნიერი წელი გაუთენოს ღმერთმა თითოეულ თქვენგანს, სრულიად საქართველოს! დაემშვიდობნენ სათნოების სახლის ბინადართ ვალერიანე ფოცხვერია, ნუგზარ ჯამბურია, გამგეობისა და საკრებულოს სხვა ხელმძღვანელები.

_ ღმერთმა მადლი გაგიმრავლოთ, გაგახაროთ და გაგაძლიეროთ! _ ამ სიტყვებით კი სტუმრებს მამა შიო (ჭაფოძე) დაგვემშვიდობა.

„რიგსპუბლიკური პარტია" _ ყოლოშელი პატარიბის თოვლის ბაბოა

ნინო ნანიტაშვილი

3 წლის გიორგი გამზარდია დაბა კულაშში, თამარ მეფის 7 ნომერში ცხოვრობს. 31 დეკემბრის დილით, როცა დედიკოსთან ერთად ნაძვის ხის მოსართავად ემზადებოდა, მის კარზე კაკუნი გაისმა და ყველასგან მოულოდნელად ოთახში უცხო სტუმრები შევიდნენ. პატარა გიორგი არც ჟურნალისტების გამოჩენას დაუფრთხია. ვიდეოკამერასთან და ფოტოაპარატის წინ იგი სიამოვნებით პოზირებდა. გიორგი გამზარდიას მთელი ყურადღება საჩუქრებიან პარკზე გადაეტანა, მადლიერებისაგან კულაშელ ბიჭუნას სახე გაბადვროდა. 6 სულიანი ოჯახი, სადაც მხოლოდ ერთი წევრი მუშაობს, უმნიშვნელო ყურადღებასაც შეეძლო გაებედნიერებინა.

2015 წლის ახალი წლის დილა დაბა კულაშში გიორგის მსგავსად კიდევ რამდენიმე პატარას გიორგის მსგავსად ბედნიერად გაუთენდა. უმრავლესობა სოციალურად დაუცველთა ოჯახების შვილია, მათ სიხარულზე ბიზნესმენმა ნატალია კვანტალიანმა და კულაშის მაჟორიტარმა დეპუტატმა, იმედა გოგავამ იზრუნეს.

31 დეკემბრის დილით ორი მსუბუქი ავტომობილით მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი თანაპარტიელებთან ერთად ("რესპუბლიკური პარტია") გადაადგილდებოდა. დასასაჩუქრებელთა გრძელი სია აქციის ორგანიზატორებმა ერთობლივად შეადგინეს, ჩამონათვალში ძირითადად მოხვდნენ დაბაში მცხოვრები ის სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავდათ. სასაჩუქრე პარკებში ძირითადად სათამაშოები, სუვენირები, გასაფერადებელი ჟურნალები და ფანქრები იყო. ზოგს მაისური, ზოგს ოთახის ჩუსტებიც ამოუვიდა საჩუქრებში. მიმდინარე წელს ნატო კვანტალიანის სახელობის სისხლის გადასხმის ცენტრალურმა ბანკმა მთელი ქვეყნის მასშტაბით წინასაახალწლო საჩუქარი 1000-ზე მეტ პატარას გაუკეთა. გამონაკლისი არც ქალბატონი ნატოს მშობლიური კულაში აღმოჩნდა. მან, მართალია, სამტრედიაში ვერ მოახერხა ჩამოსვლა, თუმცა ყველა ოჯახში შესული იმედა გოგავა იქ მყოფებს ქველმოქმედი ქალბატონის კეთილი განზრახვის შესახებ უამბობდა: "ნატო კვანტალიანის სახელი და გვარი ყველა კულაშელისთვის ახლობელია. მეცენატ ქალბატონს არაერთი კეთილი საქმე გაუკეთებია ზოგადად ქვეყნისთვის, კერძოდ, დაბა კულაშისთვის, სადაც ნატო კვანტალიანი დაიბადა და აღიზარდა. რაც შეეხება საახალწლო საჩუქარს, ეს წელს მისგან პირველი პრეცედენტია, თუმცა მომავალში მისგან სხვა სახის ქველმოქმედებას ველოდებით. უფრო მეტიც, ქალბატონი ნატალია გეგმავს სამტრედიაში სისხლის ბანკის დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ცენტრი გააკეთოს. რაც შეეხება დღევანდელ აქციას, მაქვს პატივი, მისი სახელით საახალწლო საჩუქრები 30-მდე კულაშელ ოჯახში მივიტანო და მათ წინასწარ მივულოცო დამდეგი. 2014 წელი რაიონული ორგანიზაციისთვის საკმაოდ დატვირთული იყო, ჩვენ პერმანენტულად სხვადასხვა აქტივობებით ვახერხებდით ყველა მნიშვნელოვან დღესასწაულსა და მოვლენაში ჩვენი განსაკუთრებული წვლილი შეგვეტანა. გვინდა, 2015 წელი არანაკლებ დატვირთული გვქონდეს პოლიტიკური, შემეცნებითი და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებით".

სამტრედიის მაცნე

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა

„დროა, სამტრედიას სახელმწიფო თეატრი ჰქონდეს"

165 წელი გვაშორებს იმ მოვლენასთან, როცა თბილისის გიმნაზიის შენობაში გიორგი ერისთავის კომედიის „გაყრა" წარმოდგენა გაიმართა. აღდგა ერთ დროს მავანთა უკუღმართობას შეწირული თეატრი, მაგრამ არც ამ დღის შემდეგ გაუვლია ქართულ სასცენო ხელოვნებას ია-ვარდით მოფენილი გზა. სულ რაღაც ექვს წელიწადში ახლად აღორძინებული თეატრი მეფის რუსეთმა დახურა. საბოლოოდ კი იგი გიორგი თუმანიშვილის თაოსნობით 1879 წელს აღდგა.

1881 წლის 18 იანვარს დაფუძნდა დრამატული საზოგადოება, რომლის პირველ ყრილობაზე თავმჯდომარედ ილია ჭავჭავაძე, ხოლო მოადგილედ აკაკი წერეთელი აირჩიეს. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართულ თეატრს, როგორც პროგრესული იდეებისა და ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლის კერას. თეატრის საზოგადოებრივი როლის შესახებ ილია წერდა: „თეატრი ადამიანს კულტურასა ჰძენს, კარგი აქტიორი, ნიჭიერი მაყურებელი, ცხოველი ოვაცია, აი თეატრი".

ქართული სამსახიობო სკოლის ნაკვალევზე აღიზარდნენ გენიალური მსახიობები: ვასო აბაშიძე, მარიამ საფაროვ-აბაშიძე, ვალერიან გუნია, ტასო აბაშიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, უშანგი ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, სესილია თაყაიშვილი, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე და სხვები.

დაუვიწყარია ბრწყინვალე ნიჭის მქონე მოღვაწეთა სახელელბი: სანდრო ახმეტელი, შალვა დადიანი, მიხეილ თუმანიშვილი, რომლებიც თავიანთი ინდივიდუალობით, პიროვნული და მოქალაქეობრივი თვისებებით შემოქმედის ეტალონად იქცნენ.

დღესდღეობით განთქმული და სახელმოხვეჭილია ქართული თეატრის ფენომენი. ამ გარემოებას ხელი დიდად შეუწყო რეფორმატორმა, სწორუპოვარმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა. მის მიერ განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა დადგმებმა დიდი როლი ითამაშეს საზოგადოების გემოვნების ჩამოყალიბებისა და დახვეწის საქმეში.

თეატრის სიყვარული უკურნებელი სენივითაა, თუ სულში ერთხელ მაინც ჩაგისახლდა, თავის მაგნიტურ არეში მოგიცავს. გასული საუკუნის ბუმბერაზმა შვილებმა შეგვაყვარეს თეატრი და მას შემდეგ ხელოვნების ეს დარგი ჩვენი ცხოვრების ნაწილად მიგვიჩნევია.

14 იანვარს, ძველით ახალ წელთან ერთად ქართული თეატრის დღე აღინიშნება. ამ ფაქტის გათვალისწინებით, სამტრედიული ფესვების მქონე, დედაქალაქში მოღვაწე თეატრალებს დავუკავშირდით, რომლებმაც ჩვენთვის მილოცვები და კეთილი სურვილები არ დაიშურეს.

ჯემალ ღაღანიძე, მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი: „ოჰო, ჩემს ძვირფას სამტრედიელებს ვახლავარ! ძალიან გამახარა თქვენმა ზარმა, განსაკუთრებით კი _ „სამტრედიის მაცნედან". ყოველთვის ვგრძნობ თქვენს სითბოსა და ყურადღებას. სახალხო არტისტი გავხდი, მშობლიურ კუთხეს არ გამოპარვია, ვარსკვლავი გამიხსნეს _ ქალაქის წარმომადგენლების სტუმრობა უზომოდ მესიამოვნა, გაზეთის 80 წლის იუბილე გადაიხადეთ და არ დაგავიწყდით, სხვა რაღა უნდა მსურდეს?! დამილოცნიხართ! 2015 წლიდან, ახალი შემართებით, იმედებით, ახდენილი ნატვრებით გეცხოვროთ! რაც შეეხება სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატულ თეატრს, რომელიც როგორც შევიტყვე, აქტიურად უშვებს სპექტაკლებს, გულმხურვალედ მივესალმები და საუკეთესოს მოლოდინში დავრჩები მის ქომაგად".

დავით დვალიშვილი, მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი: „გაგახაროთ ღმერთმა, ისე კმაყოფილი ვარ, რომ წლის დასაწყისში სამტრედიელები დავიბედე. იღბლიანი ხალხი ვართ. ერთხელ აუდიტორიაში ვთქვი, ნაღდი „სამტრედსკი" ის არის, ვისაც დედა ვანელი, მამა კი ხონელი ჰყავს-მეთქი და თან კითხვა დავსვი, თუ ვინ იყო ასეთი წარმომავლობის. აღმოჩნდა, რომ ეს ფუფუნება მხოლოდ მე მქონდა. მართლაც ასეა, სამტრედიაში სულ ჩამოსულები არიან, ისევე როგორც ნიუ-იორკში. მგონი, არის რაღაც პარალელები ჩვენს შორის, მაგრამ არა მგონია, თუ იქაც ისეთი გულიანი ხალხი ცხოვრობდეს, როგორც იმერეთის ამ ლამაზ ქალაქში. ჯანმრთელობას, უფლის მფარველობას, ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ და როგორც მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი იმედს ვიტოვებ, რომ ახლო მომავალში საგასტროლოდ სამტრედიის თეატრსაც ვეწვევით."

ნიკოლოზ წულუკიძე, თეატრმცოდნე, თეატრის კრიტიკოსთა კავშირის თავმჯდომარე: „ჩემო ძვირფასებო, გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ. მსურს მოგილოცოთ ქართული თეატრის დღე, 14 იანვარი, პროცენტულად, მგონი ყველაზე მეტი თეატრალი სწორედ სამტრედიელია ეროსი მანჯგალაძით დაწყებული და რობერტ სტურუათი დამთავრებული. მინდა გისურვოთ ყოველივე საუკეთესო, სიმშვიდე, ღვთის წყალობა და რაც მთავარია, ჯანმრთელობა. ისე, ერთი სახელმწიფო თეატრი კი უნდა გვქონდეს სამტრედიაში, მით უფრო, ასეთი საინტერესო და ფესტივალებზე გამარჯვებული დასი გვყავს."

დავით კვირცხალია, მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი: „შობა-ახალ წელს გილოცავთ! პირველ რიგში, ქალაქის მეისტორიეს, უტყუარ „სამტრედიის მაცნეს", რომელმაც არაერთი რთული პერიოდი ტალახში გაუსვრელად გამოიარა, შემდეგ სამტრედიელებსა და უსაყვარლეს თეატრს.

რა შემიძლია გითხრათ, გარდა ტკბილი, მოსაფერებელი სიტყვებისა. მუდამ ჩემს გულში ხართ. ხშირად ვიგებ თქვენი წარმატებებისა და მიღწევების შესახებ, რაც წარმოუდგენლად მახარებს. მოსახლეობას გისურვებთ ბედნიერ, მშვიდობიან, შემოქმედებითად დახუნძლულ წელს, ხოლო თეატრს, რომელიც დიდი ეროსის სახელს ატარებს, მრავალფეროვან რეპერტუარსა და მაყურებელთა სიმრავლეს".

პროფესიულ დღესასწაულს ვულოცავთ ჩვენი ქალაქის საამაყო შვილებს, წარმატებულ წელსა და წინსვლას ვუსურვებთ პირად, საზოგადოებრივ საქმიანობაში.

შოთა კაკავა

სამტრედიაში ბათუ კრავეიშვილი გაიხსენეს

ლევან გაბეჩავა

16 დეკემბერს 100 წელი შესრულდა ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის, საქართველოს სახალხო არტისტის, ბათუ კრავეიშვილის დაბადებიდან. ამ მოვლენას მიეძღვნა ღონისძიება, რომელიც 26 დეკემბერს მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა.

საღამო გახსნა ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ, ღვაწლმოსილმა მსახიობმა მზია ჩიხლაძემ. მან მსახიობის თანაკლასელის, პოეტ ანდრო თევზაძის ის ლექსი წაიკითხა, რომელიც პოეტმა 50 წლის იუბილეზე ბათუ კრავეიშვილს მიუძღვნა.

ბათუ კრავეიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკეულ მომენტებზე ისაუბრეს გაზეთ „სამტრედიის მაცნეს" პასუხისმგებელმა მდივანმა ლევან გაბეჩავამ, მხატვარ-კარიკატურისტმა შოთა პაპავამ. ტორევიეხასა და ზაკოპანას საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა ალექსანდრე კრავეიშვილმა, იურისტმა ლევან ნიკურაძემ, საზოგადოება „სამტრედიელის" თავმჯდომარემ თამაზ მურღულაიამ ბათუ კრავეიშვილთან ურთიერთობის მათთვის დაუვიწყარი წლები გაიხსენეს.

_ მადლობა დღევანდელი საღამოს ინიციატორებს, მონაწილეებს, მსგავსი ღონისძიებები ხშირად უნდა ჩატარდეს. _ კმაყოფილებით აღნიშნა იურისტმა ლალი თადუმაძემ.

_ კარგი საღამოა, მართალი გითხრათ, არ ვიცოდი, ლეგენდარული მსახიობი ჩვენი თანაქალაქელი თუ იყო, მადლობა ყველას! _ მიმართა შეკრებილთ ფილოლოგმა სალომე მიქაძემ.

ბიბლიოთეკაში გამართული ღონისძიება წარმოუდგენელია აქტიური მკითხველი ახალგაზრდების მონაწილეობის გარეშე, ამჯერადაც ენამზიანობდნენ: ქრისტინე ივანიაძე, ქეთევან აბრამიშვილი, ბაჩო ნადირაძე, მარიამ ჩხაიძე.

მათაც მსახიობის შინაარსიანი შემოქმედებითი გზა გააცნეს დეტალურად საოცარი სიცხადით შეკრებილთ.

ეკრანზე ერთმანეთს ცვლიდა კადრები ბათუ კარვეიშვილის მიერ შესრულებული ქართული მხატვრული ფილმებიდან: „დაკარგული სამოთხე", „გიორგი სააკაძე", „ქეთო და კოტე".

2014 წელი უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიერ წიგნიერების წლად იყო გამოცხადებული. უმნიშვნელოვანესი, განსაკუთრებული იყო ეს წელი მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკისთვის, არაერთი შემეცნებითი მხატვრული ღონისძიების ინიციატორებად მოგვევლინენ ისინი 2014 წელს, რაც შეეხება უკვე გასული წლის ბოლო, 26 დეკემბრის ღონისძიებას, მის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა რუსუდან კახიანმა და საინფორმაციო ანალიტიკური განყოფილების ხელმძღვანელმა იზაბელა ლეგაშვილმა, რისთვისაც ისინი მადლობას იმსახურებენ.

_ დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ, ვეცდებით მომავალ წელს კვლავ მრავალფეროვანი ღონისძიებები შემოგთავაზოთ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში. _ მიმართა შეკრებილთ ბიბლიოთეკის დირექტორმა, ლამარა დუნდუამ.

_ მოკრძალებული, ლამაზი საღამო იყო, სასიამოვნოა, რომ ღირსეული სამტრედიელის ხსოვნას ჯეროვანი პატივი მიაგეთ, მომავალი წლის გაზაფხულზე, ვფიქრობთ, მსახიობის იუბილე მისი ოჯახის წევრების მონაწილეობით აღვნიშნოთ, მადლობა თქვენ ლამაზი საღამოსთვის. _ ასეთი კომენტარი გააკეთა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ლიზა კრავეიშვილმა.

ნომინაციაზე „წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალი" სამტრედიელი კარატისტი წარადგინეს

26 დეკემბერს, ფილარმონიის ივენთ ჰოლში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ საქართველოს 2014 წლის საუკეთესო სპორტსმენების გამოვლინება-დაჯილდოვების ცერემონიალი გამართა.

შემაჯამებელ ღონისძიებაზე 10 ნომინაცია იყო წარმოდგენილი, მათ შორის _ „წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალი ".

ნომინაციაში ორ სხვა ქალ სპორტსმენთან ერთად სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი გენო ნიკურაძე, მწვრთნელ-მასწავლებელი, სენსეი მიხეილ ქანთარია) კარატეს ჯგუფის წევრი თამარ ბიბილეიშვილი წარადგინეს. ცერემონიალზე ნაჩვენები იქნა თამარის ორთაბრძოლების ამსახველი კადრები ევროპის ჩემპიონატზე.

კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით, თამარ ბიბილეიშვილს საპატიო მესამე ადგილი მიაკუთვნეს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მთავრობის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე, საპატიო ვეტერანი სპორტსმენები, ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი მოქმედი სპორტსმენები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ისტორიის მანძილზე თამარ ბიბილეიშვილი პირველი სპორტსმენია სამტრედიიდან, რომელიც საქართველოს მასშტაბით „წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალის" ტიტულის მოსაპოვებლად წარადგინეს.

თამარს აღიარებას და ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ!

მიხეილ ქანთარია

შავი ქამარი მეოთხე დანი

სურათზე: თამარ ბიბილეიშვილი და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი დოლაბერიძე

ღმერთი გახდა ადამიანი, რათა ადამიანი გახადოს ღმერთი

თეა ბაბუნაშვილი

იშვა უფალი მონანიებად და მიტევებად, ხსნად და გადარჩენად. იშვა მაშინ, ცოდვების სიმძიმეს შეუუებულ დედამიწას ღრმა ძილით რომ ეძინა. უბადრუკ ბაგაზე გადარჩენის იმედი გაჩნდა. "ალილუიათი" ახარეს მისი დაბადება იმ დამძიმებულ დედამიწას ანგელოზებმა. მას მერე _"შეუფეთ ზეციოთაო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსაგე აღავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილითაო, მომხიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ ჩუენს შორის და წმინდა მყენ ჩუენ ყოველისაგან ბიწისა და აცხოვნენ სახიერო სულნი ჩუენნი..." იმეორებენ საუკუნეები და ელიან ხსნას, შველას და იმედს.

ისევ შობა და ქვრივ-გლახაკებისთვის, უპოვართათვის შემწეობის შესაგროებლად გამართული მსვლელობა ქალაქის ქუჩებში. პატრიარქის მიერ დამკვიდრებულ ამ ტრადიციას უკვე მერამდენე წელია მთელი საქართველო ეხმიანება. 7 იანვრის დილაც ასე დაიწყო სამტრედიაში. მრევლი საგალობლებით მოედო ქუჩებს. "გილოცავთ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს. ჩვენ დღეს ქრისტეშობის მახარობლები ვართ. ღმერთმა ყველა მრავალს დაასწროს და გაახაროს. _ ასე დაიწყო მამა რომანოზმა და სულ ცოტა ხნის წინ ტრაგიკულად დაღუპული მამა ილიას გარდაცვალებასაც შეეხო."ამ ტრაგიკულ ფაქტს დიდი სიამაყეც ახლავს. ბევრმა იქნებ ვერ შეძლოს ის, რაც მან გააკეთა. მან მთელ მსოფლიოში ქართული სინამდვილის სინდის-ნამუსი ზემოთ ასწია. ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს მისი წმინდა სული." გულისტკივილი, რომ ბოლო პერიოდში მრევლის მატება ნაკლებად შესამჩნევია, ვერც ამ სადღესასწაულო დღეს დაფარა მამა რომანოზმა. ისურვა, რომ კიდევ უფრო მეტმა ადამიანმა მიაკითხოს უფლის სახლს სულიერი სიძლიერისთვის. ქუჩებს საგალობელი ავსებდა, საკმევლის სურნელით გაჟღენთილიყო ჰაერი. წინა წლებისგან განსხვავებით, აღარავის უკვირდა ქუჩაში სტიქაროსნების, მგალობლების და მრევლის დანახვა. ახლა ღიმილი არა გაოცების, მილოცვებისა გახლდათ. "გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. ჩვენ ახლა სპეციალურად მივედით იეღოველების სახლთან, რომ გაიღვიძოს ყველამ, ვისაც არ სწამს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა, მისი შობა და განკაცება. ამ დღეს ისეთი სასწაული მოხდა, დედამიწის ზურგზე რომ არ მომხდარა და არ მოხდება. განკაცებული ღმერთი ჩამოვიდა ზეციდან ჩვენი ცოდვების სატვირთველად და ადამიანებმა ეს არაფრად ჩავაგდეთ. ქრისტეს შობის ღამესაც ციოდა. ცივა დღესაც. მაშინაც გაცივებული იყო ადამიანი სულიერად. იყო ღამე, ესე იგი სიბნელეში ცხოვრობდა ადამიანი უღმერთოდ. "ალილოს" ტრადიციაც სწორედ ამგვარი გამოღვიძებიდან მოდის. მეალილოეები ქრისტეშობის მახარობლები არიან."_ საუბრობდა დეკანოზი ვახტანგი. რაც შეეხება ტაძრებში მრევლის მატებას, "ნურავის ეწყინება თუ ვიტყვი, რომ პრესა და ტელევიზია ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ეკლესიას ზიანი მიაყენონ. თუმცა, ეკლესიის გზა არასდროს გაუცხოვდება ადამიანისთვის, რადგან ამას დიდი ფესვები აქვს. ეს ისეთი სასწაულია, ძნელად დასაჯერებელი, მაგრამ რწმენა სწორედ წმინდა წერილის დაჯერებაა. რწმენა კი ტაძარს, ლოცვას მოაქვს."_ ამბობდა იგი.

მეალილოეებს მრევლი თანდათან ემატებოდა. "დიდება უფალს" სულ უფრო ხშირად ისმოდა ქალაქის ქუჩებში. "ეს არის დღე სიხარულისა, დღე ღმერთთან განსაკუთრებული ურთიერთობის დასაწყისისა. ერთ-ერთი წმინდა მამა ამბობს: "ღმერთი განკაცდა, რათა ადამიანი გახადოს ღმერთი." ქრისტიანობა უნივერსალური სწორედ იმიტომ არის, რომ ქრისტიანობის ღმერთი ადამიანის სახით მოვიდა. ქრისტიანული მოძღვრების შესაბამისად, ადამიანს პატივი აქვს ღმერთს მიემსგავსოს და ეს ყველაფერი ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულმა მოგვიტანა. გილოცავთ ყველას. ვულოცავ მთელ საქართველოს!"_ მამა ანტონი მამა ზაქარიასთან ერთად საქრისტიანოს ქრისტეშობას ულოცავდა.

სულ რამდენიმე წუთით მოძრაობაც შეფერხდა, რამდენიმე წუთით გამვლელების ყურადღება მიიქციეს, ასე ივსებოდა ქუჩები მადლით იეღინთებოდა საკმევლის სურნელით და მშვიდდებოდა ქართული საგალობლით. ანაფორას ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მხედრებიც მატებდნენ ხიბლს და ლადო ასათიანისა არ იყოს,_" გიმზერ და მჯერა, რომ ქართველობა არასოდეს არ გადაშენდება!"

"დიდება მამასა, ძესა და წმინდასა სულსა..." ლოცვად ისმოდა სამტრედიაში და ყველგან, მთელ საქართველოში. "ალილოს" თეატრალიზება თანამედროვეობის "ბრალია", თორემ იგი ალბათ, ყოველთვის ასეთი იყო. დღეს იგი ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში გვეხმარება ქართველებს.

"ღირს მყვან ჩვენ, უფალო, ხორცსა შენსა ზიარებად დაუსჯელად, და სისხლსა შენსა პატიოსანსა განწმენდად სულთა და ხორცთა რათა მექმნეს განმანათლებელ გონებისა და ვადიდებდე ქრისტეს სახიერებათა შენთა..."

"ალილუიათი" უფლის დაბადებას ზეიმობდა ქრისტიანი მრევლი. ქალაქის ქუჩები საკმევლის სურნელით სუნთქავდა.

მრავალს ეამაყები, მრავლისთვის მაგალითად იქეცი

ადრიატიკის ზღვაში ბორან "ნორმან ატლანტიკას", რომელიც იტალიაში მიემგზავრებოდა, 28 დეკემბერს საბერძნეთის სანაპიროსთან მოულოდნელად ცეცხლი გაუჩნდა. გემზე 422 მგზავრი, ეკიპაჟის 56 წევრი იმყოფებოდა, მათ შორის რვა ქართველი, აქედან ერთი ბავშვი და ფეხმძიმე ქალი. მცირეწლოვანი ბავშვის ევაკუაცია ხანძრის გაჩენისთანავე მოხერხდა, კიდევ ორი ქართველი კი მოგვიანებით გადაარჩინეს. სამწუხაროდ, დაიღუპა ერთი, მცხეთის დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, მამა ილია კარტოზია პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მრევლთან ერთად ქ. ბარიში წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის და წმინდა ნაწილების მოსალოცად მიემგზავრებოდა. ცეცხლი ბორანს ღამით გაუჩნდა და ხალხის ევაკუაცია გახდა აუცილებელი. როდესაც მისი რიგი მოვიდა, მამაომ თავისი კუთვნილი ადგილი სამშველო გემზე ბავშვიან ქალბატონს დაუთმო. მან ბოლო წუთამდე არ დატოვა ბორანი, ლოცულობდა, მგზავრებს ამხნევებდა, დახმარებას უწევდა. როცა გემიდან გადმოყვანის დროს მისი დახმარება სცადეს მაშველებმა ზღვაში თოკი გაწყდა და ის ზღვაში ჩავარდა. წყალში სამაშველო ჟილეტი გადააგდეს, თუმცა ძლიერი ღელვის გამო, მამა ილიამ მასთან მიახლოვება ვერ შეძლო და დაიღუპა. მისი ცხედარი ზღვამ ქალაქ ლეჩესთან გამორიყა. მის ზურგჩანთაში, რომელსაც არ იშორებდა და რომელიც გარდაცვლილსაც ზურგზე ჰქონდა, ხატები და სიწმინდეები აღმოჩნდა.

მამა ილია კარტოზია 1987 წელს, ქალაქ ზუგდიდში დაიბადა, დაამთავრა მე-4 საჯარო სკოლა, ეკლესიური ცხოვრება ბავშვობიდანვე იზიდავდა. პირველი სულიერი ცხოვრების ნაბიჯები მაცხოვრის კარის ეკლესიიდან დაიწყო. მისი მოძღვარი მამა გიორგი ჯგუშია იყო. იქ ჩაიცვა სტიქარი, იქ შევიდა პირველად საკურთხეველში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საფარის სასულიერო სემინარიაში. ალბათ, სწორედ იმ მონასტრულმა გარემომ იქონია გავლენა მის მომავალ ცხოვრების გზის არჩევანში. იქ ერთი წელი დაჰყო, თუმცა ბერობას მოწყურებული ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 18 წლისა, სვეტიცხოვლის ტაძარში ბერად აღიკვეცა და უფალს მიუძღვნა თავისი ცხოვრება. ამ

ას მოჰყვა შემდეგ ბერ-დიაკვნობა, მღვდელმონაზვნად კურთხევა და შემდეგ არქიმანდრიტის წოდებაც. იგი წმიდა დავით აღმაშენებლის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა, რომლის, აშენებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის.

მამა ილიამ თავი გასწირა და ამით თავდადებისა და მოყვასისათვის თავგანწირვის იშვიათი მაგალითი გვიჩვენა, ისე, როგორც 1962 წელს ქართველმა ექიმმა იოსებ ჟორდანიამ. მან უბილეთო გოგონას მაშველი რგოლი გადასცა, რითაც ის აშკარა სიკვდილს გადაარჩინა, თავად კი დაიღუპა. შოთა ნიშნიანიძის სიტყვებით, "მაშველი რგოლი იმ სულმნათს შარავანდედად ადგას". ასევე, ნეტარი მამა, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე წარმომიდგა თვალწინ, უცხოეთში მყოფმა ქართველმა სასულიერო პირმა მსგავსი თავდადება უჩვენა სხვა ერის შვილებს და მაცხოვრის უპირველესი მოწოდება, მოყვასისათვის საკუთარი სიცოცხლის დადებისა აღასრულა.

მრავალს ეამაყები, მრავლისათვის მაგალითად იქეცი და გმირული სული გაუღვიძე, მრავალმა ლამაზი სიტყვებით შეგამკო. თბილად გიხსენებენ შენი მეგობრები, რადგან ტკბილი მოგონებები დაუტოვე ყველას. დასანანია და მტკივნეული ერთი ისტორიის ის ფურცელი, ის დღე, რომელსაც 28 დეკემბერი ერქვა. გრძნობდი საშიშროებას, გაუმხილე კიდეც შენი მონასტრის წევრებსაც, მაგრამ არ შეუშინდი შეწზე მოწეულ სასოწარკვეთილების სევდას და ისეთი შემართებით იდექი იმ დიდი განსაცდელის დროსაც, როგორც გჩვეოდა ხოლმე, ყველას ნუგეში სჭირდება, მაგრამ განსაკუთრებით შენს მწუხარე დედას, რომლის გამხნევებას ვერავინ შეძლებს: "რა ვქნა, დედი, სული მტკივა და გული მეწურება", რომელსაც ერთი ოცნება შერჩენია: "წუთით მაინც შენი გაღიმებული სახე ვიხილო, მაგრამ, ვაი, რომ ეს შეუძლებელია".

ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელმაც, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემაც დანანებითა და გულისტკივილით მოგიხსენია, შენი გარდაცვალების ტკივილმა შეძრა ერი და ბერი და არამარტო ჩვენი ქვეყნის მკვიდრნი, ყველა, ვინც კი გაიგო ახალგაზრდა არქიმანდრიტის ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი. გამამხნევებელი და ამ ტკივილის შესამსუბუქებელი შენი სწორი და გაბედული ნაბიჯი იყო იმ კრიტიკულ მომენტში, როცა იყო გადამწყვეტი წამები. მავანი იტყოდა, ასე უნდა მომხდარიყოო, მაგრამ ადვილია სიტყვით და ძნელია საქმით.

"მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვის ცხოვართათვის". (იოან. 10. 11) ეს ჩვენი წინაპრების გმირული სულის გამოძახილია. მიხარია, რომ ეს გმირული სული და გმირული ჯაჭვი არ გაწყვეტილა და არც გაწყდება, სანამ ქართველი და საქართველო იარსებებს. წმინდა ილია მართალი ამბობდა: "ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე აბა, დღეს მე ვის რა ვარგე". სიკეთეა, როცა ადამიანს მატერიალურად ეხმარები, მაგრამ რაოდენ დიდია, როცა მისთვის ყველაზე დიდს გაიღებ. მიხარია, ასეთ ადამიანს რომ ვიცნობდი. სათნო, კეთილი, თავმდაბალი, თბილად მოსაუბრე, მომღიმარი, გაბედული და გულწრფელი თვალებით მომზირალი _ აი, ასეთი მახსოვს მე მამა ილია კარტოზია, როცა ის პირველად სვეტიცხოვლის მამათა მონასტერში გავიცანი. მინდა, ბევრი რამ გავიხსენო, მაგრამ ეხლა ის დროა, როცა სევდა ფარავს ყოველგვარ ემოციას და სიტყვები კარგავს აზრს.

ღმერთმა ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს, სადაც მართალნი განისვენებენ და მისცეს საუკუნე ხსენება არქიმანდრიტ ილიას სულს აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

გიორგი გიორგაძე

მაცხოვრის ნათლისღება_დღე, როცა სამება გაცხადდა

ტროპარი: "რაჟამს იორდანეს ნათელ-იღე შენ, უფალო, მაშინ სამებისა თაყვანის-ცემა გამოსჩნდა, რამეთუ მამისა ხმა გეწამებოდა, და საყუარელად ძედ სახელ-გდვა შენ, და სული წმიდა, სახითა ტრედისათა, დააშტკიცებდა სიტყვისა მის უცდომელობასა, რომელიც განსცხადენ, ქრისტე ღმერთო, და ყოველი სოფელი განანათლე, დიდება შენდა."

ეს არის დღე "ნათლისღება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი" ერთ_ერთი უდიდესი სასწაული ქრისტიანულ სამყაროში, რომელიც 19 იანვარს აღინიშნება. იოანე ნათლისმცემელი სინანულს ქადაგებდა და მდინარე იორდანეში ხალხს ნათლავდა. სხვებთან ერთად იესოც მივიდა. იოანეს უღირსად მიაჩნდა თავი მის მოსანათლად და უთხრა, რომ უკეთესი იქნებოდა, თავად მიეღო ნათელი ქრისტესგან, რაზეც უფალმა მიუგო: "დე, ასე იყოს ახლა, რადგან ჩვენ გვმართებს აღვასრულოთ ყოველი სიმართლე"(მათე 3,15) და მონათლა. როცა იესო ქრისტე წყლიდან ამოდიოდა, სწორედ მაშინ განცხადდა პირველად სამება _ ძე ნათელს იღებდა, სულიწმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამის ხმა: "ეს არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავ". ამ დღეს ღვთის განცხადება ეწოდება. მაცხოვარმა თვითონ კი არ მიიღო სიწმინდე როგორც უცოდველი, განწმენდას კი არ საჭიროებდა, არამედ ნათელიღო ჩვენი შეწევნისთვის და განწმენდილი წყლით ჩვენი უსჯულოება განბანა.

ნათლობით ადამიანი პირველად ეზიარა ქრისტიანობის საიდუმლოს და სულიწმიდის მადლით ცოდვებისგან განწმენდილი ფაქტობრივად მეორედ იბადება. ნათლობის საიდუმლო მხოლოდ ერთხელ აღესრულება და სამუდამოდ, როგორც მრწამსშია ნათქვამი, _ "აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებლად ცოდვათა". ნათლობა არის სულიერი შობა და რადგანაც კაცი ხორციელად ერთხელ იშვა, სულიერი შობაც ერთხელ ხდება. საქართველოში შობადობამ იკლო, რაც ერის დასუსტებას მოასწავებდა ამიტომ რამოდენიმე წლის წინ უწმინდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დანერგა ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ტრადიცია, რომლის თანახმადაც პატრიარქი ყველა ჯვარდაწერილი ოჯახის მესამე და მომდევნო შვილს ნათლავს.

ნათლისღების დღესასწაულზე და მის წინა დღეს ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში სრულდება წყალკურთხევა დიდი აიაზმის წესით და ნაკურთხი წყალი ურიგდებათ მორწმუნეებს. ამ წყალს უფლის მიერ კურთხეული იორდანის მადლი ეძლევა და ჩვეულებრივი წყლისგან განსხვავებით არ იხრწნება. ის მთელი წლის განმავლობაში შეგვიძლია შევინახოთ, რწმენით გამოვიყენოთ განსაცდელისა და ავადმყოფობის დროს.

ნათლისღების მადლი შეგეწიოთ!

ეკა ცოფაია

„ჩვენი ჰაერია რეიონისთვის ძალიან ლონის მხატვრები ცოცხ ვრ ვრიან“

ქეთევან ჭელიძე

არ შეიძლება, ნახო და დაივიწყო. თემისა და განცდის სილრმით, გამოხატვის ფორმით მხატვარ გივი ვაშაკიძის ნამუშევრები საგამოფენო დარბაზიდან გამოსულსაც ვიტოვებენ საფიქრალს.

ფერი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს მხატვრის შემოქმედებაში.

“იუველირისათვის შესაშური ოსტატობით ავლებს იგი უაღრესად ესთეტიკურ სუფთა ხაზს, ამთავრებს ფორმას სტერეოსკოპული სილრმით და ანიჭებს მას სივრცებრიობას.

ფერი მის სურათებში მხატვრის სულიერი მოძრაობის მუსიკალური ფონია”. _ წერდა მასზე ელგუჯა ამაშუკელი.

ბავშობაში ცდილობდა, ლადო გუდიაშვილის მსგავსად ეხატა. შემდეგში ისეთი ასლებიც შეჰქმნა, ორიგინალისაგან რომ ვერ განარჩევდი.

მაგრამ გივი ვაშაკიძე არავის ჰგავს, განსაკუთრებულია და თავისთავადი.



მას არასდროს უღალატნია საკუთარი შემოქმედებითი პრინციპებისათვის და სოციალისტური რეალიზმისთვის არ მოუხდია ხარკი. ამის გამო ბევრჯერ აღმოჩენილა წინააღმდეგობის წინაშე, თუმცა, მტკიცედ და მოთმინებით იტანდა მუქარასაც კი.

“მოვიდა კგბ-ს თანამშრომელი და მითხრა: ისე დაგმარხავ, ვერც გაიგებო”. ჩემი სახელოსნოც კი არ მქონიაო, _ დასძენს. იქვე თავისი თანაკურსელების, შემდეგში ცნობილი მხატვრების, ჯიბსონ ხუნდაძის, ზურაბ ნიჟარაძისა და სხვების მაგალითი მოჰყავს, 10-15 წელი რომ სწავლობდნენ აკადემიაში და დიპლომის აღების საშუალებას არ აძლევდნენ, ერთსა და იმავე კურსზე ტოვებდნენ. მეტიც, ბატონ გივის სამხატვრო აკადემიიდან გარიცხვაც კი დაუპირეს, მაგრამ ერთხელ სერგო ქობულაძემ და მეორედ აპოლონ ქუთათელაძემ დაიფარეს ხელი.

გივი ვაშაკიძე წარმოშობით სამტრედიელია, დიდ ჯიხაიშელი. მართალია, თბილისში დაიბადა და საშუალო განათლებაც იქვე მიიღო, მაგრამ სოფელი, რომელსაც ზაფხულობით სტუმრობდა, დღემდე მისი დიდი სიყვარულია.

“იქ ჩასვლა ჩემთვის ყოველთვის სიამოვნება იყო. მიყვარდა ბებია-ბაბუასთან ყოფნა. მეზობლები ჩემი ტოლი ბიჭები იყვნენ და მთელი დღეების განმავლობაში ერთად ვთამაშობდით. ამ სიყვარულის გამო, 1991 წელს, საცხოვრებლად დიდ ჯიხაიშში გადმოვედი”. _ გვიყვება ბატონი გივი.

თვლიდა, რომ ისეთი მებრძოლი არ იყო, ომში წასულიყო, მით უფრო, მონაწილეობა არ უნდა მიეღო ქართველთა დაპირისპირებაში; რომ სხვების მსგავსად, მასაც არ ეთქვა, ცუდად მოვიქეცითო.

მხატვრის მამა, დავითი ეკონომისტი იყო, დედა ნადია ჯიბლაძე _ ექთანი. ხატვა მამამ შეაყვარა. თვითონაც ყოველთვის რაღაცას ხატავდა, ჭრიდა, ქმნიდა, უამრავი ნაკუწი იყრებოდა ირგვლივ, მაგრამ დედა ამის გამო არასდროს საყვედურობდა. მამამ ხატვის პროცესი შეამყვარაო, _ ამბობს. ჟურნალ “ დილაში” დაბეჭდილი გორის ციხე რომ გადმოიხატა მამამ, შვილსაც მისცა საშუალება, ერთი-ორჯერ ფუნჯი ჩამოესვა. ეს სტიმული იყო, ხატვა სერიოზულად დაეწყო.

თანაკლასელმა, ემირ ბურჯანაძემ, შემდეგში ცნობილმა გრაფიკოსმა, თბილისის გერბის ავტორმა, შესთავაზა, რომ ხატვის წრეზე პიონერთა სასახლეში ისიც მისულიყო. დღეს უკვე თბილად იგონებს ბატონი გივი თავის ხატვის პედაგოგებს, გრიგოლ მესხსა და შოთა კაპანაძეს.

“ისე გვიყვარდა პიონერთა სასახლეში სიარული, წინასწარ ღია ვტოვებდით ფანჯარას, რომ შაბათ-კვირას, დასვენების დღეებში შიგნით შევსულიყავით და გვეხატა”. _ გვიხსნის ჩვენი რესპონდენტი.

ეამაყება ბატონ გივის მისი თანაკლასელები, გია ჭირაქაძე, ვაჟა აზარაშვილი და კიდევ რამდენიმე, ცნობილი ადამიანები რომ გახდნენ. ღიმილით გვიყვება, კლასის დამრიგებელი, გია ჭირაქაძის მამიდა როგორ საყვედურობდათ, “შატალოზე” წასვლა თუ გინდათ, მითხარით და გაგიშვებთ, ნუ გაიპარებითო. მერე ყველანი ბოტანიკურ ბაღში ადიოდნენ და იქაურ ულამაზეს ბუნებას ხატავდნენ.

გივი ვაშაკიძის ნახატები მოსკოვში ბავშვთა ნამუშევრების გამოფენაზეც გაიგზავნა, სადაც პირველი პრემია დაიმსახურა. საჩუქრად ფუნჯები და სახატავი ალბომი გამოუგზავნეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით ხელოვნებათმცოდნე დავით ურუშაძემ სტატიაც გამოაქვეყნა “ახალგაზრდა კომუნისტში”.

სამხატვრო აკადემიაში მისაღებ გამოცდაზე ქულები დააკლდა, მაგრამ როცა აკადემიის რექტორმა, სერგო ქობულაძემ მისი ნამუშევრები ნახა, უთხრა, ჩარიცხული ხარ და ხვალიდან აკადემიის სტუდენტი იქნებიო.

აკადემიის დამთავრების შემდეგ სოფლის მეურნეობის კვლევით და საკონსტრუქტორო ბიუროში მუშაობდა. აქ იგი პირდაპირ მაგიდაზე გუაშით ხატავდა. ახლაც ღიმილს ჰგვრის მაშინდელი ერთ-ერთი დირექტორის ნათქვამი, ბატონი გივის მიერ დახატული ცხენები რომ ნახა: რა არის, კაცო, ამ ცხენებს დუჟი არა აქვთო?

_ ამათ არა აქვთ, ესენი ჭკვიანები არიანო, _ უპასუხნია.

მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამხნევებდნენ და ნახატებს რეალურად უფასებდნენ.

იმ დროს, როცა გივი ვაშაკიძეს არც ერთ სახელმწიფო საგამოფენო. დარბაზში არ ეძლეოდა თავისი ნამუშევრების გამოფენის საშუალება, რუსთაველის თეატრის მაშინდელმა დირექტორმა აკაკი ბაქრაძემ თეატრის ფოიეში პირველი პერსონალური გამოფენა მოუწყო. ცოტა ხანში ლადო გუდიაშვილი დეპეშით აუწყებდა: “ძვირფასო, უღრმესად პატივცემულო ბატონო გივი, გილოცავთ თქვენი დიდი ტალანტის გამარჯვებას _ ბრწყინვალე გამოფენას, რომელიც მოეწყო ჩვენი საუკეთესო თეატრის ფოიეში. გისურვებთ დიდ და სახელოვან გამარჯვებებს თქვენ, საინტერესო, საკუთარი ხელწერის და იერის მქონე მხატვარს”...

წლების მანძილზე მუშაობდა ბატონი გივი ვაშაკიძე თბილისის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში მთავარი მხატვრის თანამდებობაზე. იქ სხვა მხატვრებთან ერთად ისიც ხშირად იფინებოდა.

1985-დან 1991 წლის ჩათვლით მხატვრის ნახატები საზღვარგარეთაც გამოჰფინეს: ავსტრიაში, აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში, ბაქოში, ლენინგრადში. მოსკოვში, “მზიურში” გამოფენა თბილისში 9 აპრილის ტრაგედიას დაემთხვა. აგონდება, როგორ მოდიოდნენ რუსები და მხარდაჭერას უცხადებდნენ.

გვარწმუნებს, რომ დღეს საქართველოში ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვარია. მათ შორისაა მისი შვილი გიორგი ვაშაკიძე. გიორგიმ მამისგან დამოუკიდებლად შექმნა რამდენიმე სერიოზული ნამუშევარი, შემდეგ კი იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო ტექნიკუმში ჩაბარების სურვილი გამოთქვა. გამომცდელები აღფრთოვანებული დატოვა. ბატონი გივი გიორგის ნამუშევრებს მაღალ შეფასებას აძლევს და ამბობს, რომ ისინი თანამედროვე ხელოვნებას აბსოლუტურად პასუხობს.

ჯიბსონ ხუნდაძე, ზურაბ ნიჟარაძე, თემო გოცაძე, ემირ ბურჯანაძე და სხვები _ ბატონი გივისთვის საყვარელი მხატვრები არიან. უცხოელებიდან უპირატესობას მაინც ბოსხს ანიჭებს.

ხელოვანი ჩვენს ქვეყანაში რომ ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დაფასებული, ამის მაგალითს, თუნდაც, ბატონი გივი ვაშაკიძე წარმოადგენს. თუმცა, პერიოდულად გამოჩნდებიან ადამიანები, ვინც მათი მნიშვნელობა იცის. ასეთი ბატონი გივისთვის როსტომ ჩხეიძის ოჯახია, ასევე, “მაგთიკომის” დამფუძნებელი გივი ჯოხთაბერიძე, რომელმაც მხატვრის რამდენიმე ნამუშევარი შეიძინა და ახალ საგამოფენო დარბაზში, რომელსაც კომპანია აშენებს, პერსონალურ გამოფენასაც დაჰპირდა.

ამ რამდენიმე ხნის წინ მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელოვანთა დარბაზში სხვა სამტრედიელ მხატვრებთან ერთად გივი და გიორგი ვაშაკიძეების ნამუშევრებიც გამოიფინა. კოლეგამ, ჯემალ ტაბიძემ მაღალი შეფასება მისცა მათ: “ბატონ გივის პიროვნულადაც დიდი ხანია ვიცნობ და მის შემოქმედებასაც თვალს ვადევნებ. აქ წარმოდგენილია ორი ნამუშევარი, ეს არის სუფთა სიურეალიზმი, “უარი” ძალიან მაღალი დონისაა, ძალიან დიდი მხატვრულობით, ტკივილით, ოსტატობით გამოირჩევა. სურათი ჭაობის ფერია მთლიანად, თავიდან ბოლომდე. სახეები ნატურია, არაჩვეულებრივად გამოძერწილი. ძალიან ნიჭიერი, ევროპული რანგის ოსტატები არიან. ჩვენი პატარა რაიონისთვის ასეთი დონის მხატვრები ცოტა ნამდვილად არ არის. წარმატებებს ვუსურვებ მათ!”

“თითქმის ყოველ შემოქმედს ასე უცხოვრია _ წინააღმდეგობებით, ტკივილით, შინაგანი წვით და თავისი ნიჭითა და ზნეობრიობით გადაულახავს მიწიერი ბორკილები, _ წერს ბატონი გივის შესახებ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ინგა მილორავა, _ გაუღწევია მოზღვავებულ ჩარჩოებს მიღმა და მთელი არსებით შეერთებია იმ ნათელს, საიდანაც მოდის გრძნობა, განცდა, ფერის სისავსე, ხაზის პლასტიურობა”.

“ბავშვის თვალით დანახული სასამართლო”

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის რაიონული სასამართლოს დარბაზები მოატარეს № 1 საჯარო სკოლის მეხუთეკლასელებს მასპინძლებმა, ვინ იცის, წლების შემდეგ ისინი ამ დარბაზებს ღირსეულ პროკურორებად, მოსამართლეებად და ადვოკატებად მოევლინებიან, ზოგიერთი მათგანი უკვე ავლენს სურვილს, დაეუფლოს იურისტის ურთულეს და პასუხისმგებლობით აღსავსე პროფესიას. ბავშვებმა პირველად იხილეს როგორც სისხლის სამართლის საქმეთა, ისე სამოქალაქო საქმეთა განსახილველი დარბაზები, მეგზურობა მათ სპეციალისტმა ქეთევან მეიშვილმა გაუწია. მოსწავლეებს საშუალება მიეცათ, ამ დარბაზებში ფოტოებიც გადაეღოთ, წლების შემდეგ ამ ფოტოებმა იქნებ განსაკუთრებულად დაამშვენონ მათი სახელოვანი ბიოგრაფია. ეს მოსწავლეები უზენაესი სასამართლოს 120 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცხადებული კონკურსის “ბავშვის თვალით დანახული სასამართლო” გამარჯვებულნი არიან.

კონკურსი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოს ორგანიზებით მოეწყო. მოსწავლეებმა ხელოვნების პედაგოგის, მადონა თარგამაძის ხელმძღვანელობით შექმნეს შინაარსით დატვირთული ნამუშევარი. № 1 სკოლელთა ნამუშევარი ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი აღმოჩნდა და კონკურსში გამარჯვებულ სხვა სკოლელებთან ერთად ეს სკოლაც უზენაესმა სასამართლომ დააჯილდოვა. მოსწავლეები სამტრედიის რაიონულ სასამართლოში მიიწვიეს და პრიზები და სიგელები გადასცეს.

“სამტრედიის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს, ბატონ ლევან მეშველიანს უნდა გადაეცა ამ ბავშვებისთვის პრიზები, მაგრამ ამჯერად აქ არ იმყოფება, ამიტომ მე გადმოგცემთ ბავშვებო და გისურვებთ, მრავალ კონკურსში გამარჯვებას და არაერთ წარმატებას. ასევე ვუსურვებ წარმატებას საქართველოს ყველა მოსწავლეს. ამ კონკურსში საქართველოს 28 სკოლამ გაიმარჯვა, თქვენი სკოლა ამ სკოლებს შორის ერთ-ერთია”. _ მიმართა ბავშვებს ქეთევან მეიშვილმა.

ხელოვნების პედაგოგი მადონა თარგამაძე:

_ ამ საინტერესო პროექტზე “ბავშვის თვალით დანახული სასამართლო” დიდი ინტერესით ვიმუშავეთ. გავაკეთეთ უზენაესი სასამართლოს ერთი კედლის მაკეტი, თავისი შესასვლელი კიბეებით, შენობას ამშვენებდა გერბი. ეზოს კი ამშვენებდა _ მცენარეები. იმიტირებული ფიგურები რეალურად აღიქმებოდა. სასამართლოს შენობის წინ იდგნენ ბავშვები. ისინი ბავშვთა უფლებათა კონვენციაზე დაყრდნობით მოითხოვდნენ სახელისუფლებო სტრუქტურებიდან თავიანთი უფლებების დაცვას, მათ ამავდროულად ხელში უჭირავთ საჰაერო ბუშტები და ამით აჩვენებდნენ, რომ ისინი არ არიან აგრესიულები. ვინაიდან დღეს ხშირია ოჯახებში ძალადობის ფაქტები, ბავშვების უმეტესობაზე ეს ძალიან დიდ გავლენას ახდენს და სახელმწიფოსგან მეტ ყურადღებას ითხოვდნენ. ერთ-ერთი ბავშვი კი იჯდა ეტლში, ის არ აფიქსირებდა თავის მოთხოვნას, უბარლოდ, იქ ყოფნით დასტურდებოდა, რომ ის არ იყო გარიყული საზოგადოებისგან და ასევე ითხოვდა საზოგადოების მოქალაქეობრივი ცნობიერების და კულტურის ამაღლებას. აქ იყვნენ სასამართლოს შენობიდან გამოსული მოსამართლეები, რომლებიც ღიმილით ადევნებდნენ ამ თავყრილობას თვალს.

როგორც მითხრეს, მოვხვდით 5 საუკეთესო სკოლას შორის და ამ ნამუშევარს დიდი ემოცია გამოუწვევია. დღეს დაჯილდოვდნენ ლუკა კიკაჩეიშვილი, გულო ქანთარია, ლიზი ჩხაიძე, მიხეილ და ნიკოლოზ ბოჭორიძეები, ლიზი ივანიაძე, ანანო გოგვაძე, ანანო ბედინეიშვილი.

№ 1 საჯარო სკოლის დირექტორი ხათუნა ფაილაძე: “ამ პროექტზე იმუშავეს ბავშვებმა და მადონა მასწავლებელმა. არ არსებობს პროექტი, ხელი მოჰკიდოს მადონა მასწავლებელმა და წარმატებული არ იყოს. ის ძალიან კრეატიული და თანამედროვედ მოაზროვნეა, მისი ყველა პროექტი არის თემატიკას ზუსტად მორგებული, იდეური და ვნახე სხვა სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრები. ყველა ეს ნამუშევარი იყო დახატული. ჩვენი ბავშვების ნამუშევარი კი იყო განსაკუთრებული და ორიგინალური. მადონა მასწავლებელს ძალიან დაეხმარა მშობელი და პედაგოგი ნონა ჯინჭარაძე. ძალიან კმაყოფილი ვარ ამ შედეგით, მადლობა მადონა მასწავლებელს და შემოქმედ ბავშვებს, რომლებთან ერთადაც არაერთ საინტერესო პროექტს ახორციელებს”.

"მოსწავლეებთან სიმკაცრის გამოჩენა არასოდეს დამჭირვებია"

ნათია ნაცვლიშვილი

ჩვენი რესპონდენტის შესახებ ჩვენს მუნიციპალიტეტში რომ იკითხოთ, გიპასუხებენ, რომ თავისი საგნის შესანიშნავი მცოდნეა. კარგმა მათემატიკოსმა ბევრი სხვა ნიჭიც გამოავლინა და სკოლის დირექტორის საპასუხისმგებლო თანამდებობაც დაიმსახურა. ნუგზარ კუციაა, ისევე, როგორც ბევრი სხვა ტექნოკრატი, სიტყვაძუნწი რესპონდენტია, უჯობს საქმე აკეთოს, ვიდრე ილაპარაკოს.

დედა პროფესიით ბულალტერი იყო, მამა _ მემანქანე, სწორედ ამიტომ რკინიგზის სკოლაში შეიყვანეს.

დაამთავრა სამტრედიის ამიერკავკასიის რკინიგზის № 14 საშუალო სკოლა, იმავე წელს პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომლის დამთავრებისთანავე მუშაობა აბაშის რაიონის სოფელ გეზათის სკოლაში დაიწყო.

12 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობა სოფელ გეზათში ძალიან საინტერესო იყო, შემდეგ მუშაობას საჯავახოს საჯარო სკოლაში იწყებს. 2005-2010 წლებში იყო ამ სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. "სადაც მიმუშავნია, ყველგან გულდასმით ვეკიდებოდი დაკისრებულ მოვალეობას, თავის ქება გამომდის, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, ვიყავი კარგი მასწავლებელი, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეს. ვიყავი მომთხოვნი, უპირველესად საკუთარი თავის და შემდეგ, სხვათა მიმართ". _ ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

ნუგზარ კუციამ 2012 წელს ჩააბარა სასერტიფიკაციო გამოცდა მათემატიკაში და მოიპოვა სერტიფიკატი. 2013 წელს დირექტორთა სერტიფიცირების გამოცდა ჩააბარა. წარმატებული ტესტირების მეორე ეტაპზე, განათლების სამინისტროში გასაუბრების შემდეგ მოიპოვა დირექტორობის სერტიფიკატი. სამინისტრომ მოიწონა მის მიერ წარდგენილი სკოლის განვითარების სტრატეგიული ხედვა. შემდეგ, სკოლის სამეურვეო საბჭომ მოიწონა მისი კანდიდატურა.. "სამეურვეო საბჭოს არჩევნებს ყოველთვის ახლავს ვნებათაღელვა. მყავდნენ მოწინააღმდეგენიც, 8 წევრიდან ხმა მხოლოდ ორმა არ მომცა". _ გვეუბნება ბატონი ნუგზარი.

გასული წლის 13 ნოემბერს ის მუშაობას შეუდგა. კითხვაზე, რატომ აირჩია ეს სკოლა, გვპასუხობს: "მქონდა შეხება ამ სკოლასთან, ბევრ მასწავლებელთან კოლეგიალური დამოკიდებულება მაკავშირებდა, ერთად გვიმუშავნია სხვადასხვა სკოლებში, ვიცნობდი მოსწავლეებს, მინდოდა ჩემი ძალა და უნარი მოქმედებინა ამ სკოლის განვითარებისთვის. კოლექტივში თავიდანვე იყო მცირე ვნებათაღელვა, მაგრამ პირველსავე დღეებში ყველაფერი მოწესრიგდა, დღეს ძალიან კარგი და კოლეგიალური დამოკიდებულებაა ჩემსა და პედაგოგებს შორის და თანამშრომლებს შორისაც".

ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტოდან სკოლაში ჩამოირიცხა 78 766 ლარი, რომელიც უნდა მოხმარდეს უახლოეს პერიოდში სკოლის გარე ფასადის განახლებას, მეტალოპლასტმასის კარფანჯრების გაკეთებას, ძველი გაუქმებული კიბის აღდგენას და სარინელისაძირკველის გამაგრებას, ეს სამუშაოები გაზაფხულზე დაიგეგმა, რადგან სასწავლო პროცესს ხელი არ შეეშალოს.

"ჩემი მუშაობის პერიოდში მთავარ ყურადღებას ვაქცევ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ნორმალურად წარმართვას, ვცდილობთ შევასრულოთ ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა მოთხოვნა, ამ სკოლაში ძალიან ბევრი კარგი დირექტორი ყოფილა, ეს შესანიშნავი ტრადიციების მქონე სკოლაა, გვსურს, ჩემს კოლეგებთან ერთად ის ძველი ღირსება და სახელი შევინარჩუნოთ და ქვეყნის საკეთილდღეოდ თაობები აღვზარდოთ". _ გვეუბნება ბატონი ნუგზარი.

ჩვენს შეკითხვაზე, რა უნდა გააკეთოს სკოლამ მოსწავლეს რეპეტიტორი რომ არ დასჭირდეს, დირექტორი გვპასუხობს:

"მჭიდრო კავშირშია მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი. მასწავლებელი უნდა იყოს მოტივირებული, რომ მეტი ცოდნა გასცეს, მოსწავლემ კი, მაქსიმალური ცოდნა მიიღოს, მშობელი დაინტერესებული უნდა იყოს, რომ მისმა შვილმა სკოლიდან რაც შეიძლება, მეტი ცოდნა წამოიღოს.

მათემატიკის პედაგოგს გული სწყდება, რომ ამჯერად მათემატიკას აღარ ასწავლის, ჩემი პროფესია უსაზღვროდ მიყვარს, ვფიქრობ ყველა ადამიანმა პროფესია უნდა შეინარჩუნოს, სიამოვნებით ვასწავლიდი საგანს, თუ ამის შესაძლებლობა იქნება, დირექტორის თანამდებობა დროებითია, ადრე თუ გვიან, ადამიანი რჩება თანამდებობის გარეშე, ჩემი პროფესია მიყვარს და ვფიქრობ, უნდა უყვარდეს ყველა მასწავლებელს. სიმკაცრეს რაც შეეხება, სიმკაცრის გამოჩენა არასოდეს დამჭირვებია მოსწავლეებთან. მართალია, სპეციფიკური საგანია მათემატიკა და წარმატების პროცენტი ყველაზე ნაკლებია ტექნიკურ საგნებში, ტრადიციულად, ჩემი მოსწავლეები ყოველთვის ახერხებდნენ ცოდნის მიღებას. არაერთი ნიჭიერი კურსდამთავრებული მაღალ თანამდებობაზე მუშაობს, ბევრ მათგანს უშუალო და გულთბილი შეხვედრა აქვს. ბევრჯერ მანქანა გაუჩერებიათ, გადმოსულან და უთქვამთ: როგორ ხართ ნუგზარ მასწავლებელო. ეს განსაკუთრებულად მახარებს და სტიმულს მაძლევს".

"მათემატიკის გარდა უყვარს უცხო ენები, პოეზია, ქართველ მწერლებს შორის განსაკუთრებულად კონსტანტინე გამსახურდიას, პოეტებს შორის კი, გალაკტიონს მიიჩნევს.

"მოსწავლისა და პედაგოგის დამოკიდებულება უნდა იყოს მეგობრული, მაგრამ გარკვეულ ჩარჩოში მოქცეული. 470 ბავშვია ჩემს სკოლაში, მინდა ყველასთან მეგობრული ურთიერთობა მქონდეს, ბავშვებმა მთხოვეს სკოლაში მაგიდის ჩოგუბრთის ინვენტარი შეგვეძინა და სურვილი შევუსრულე, მთხოვეს, სტადიონი მოგვიწყვეო, გაზაფხულზე აუცილებლად შევუსრულებ ამ სურვილს და ბავშვები ფეხბურთის თამაშსაც შეძლებენ.. ჩემი დირექტორობის ექვსწლიან ვადაში მინდა გავაძლიერო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოსწავლეებმა მიიღონ მაქსიმალური ცოდნა და მოემზადონ ისე, რომ შეძლონ ცხოვრებისეულ პრობლემებთან გამკლავება და ნორმალურ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ". _ მიიჩნევს ბატონი ნუგზარი.

სამტრედიელი პედაგოგის ინგლისური შთაბეჭდილებები

თეა ბაბუნაშვილი

ინგლისში სტაჟირებაზე წასულ პედაგოგთა შორის მე-3 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი ცირა კრავეიშვილიც იყო. იმერეთის რეგიონიდან იგი ერთადერთი წარმომადგენელი გახლდათ. ის იმ 20 პედაგოგს შორის მოხვდა, მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნების ცენტრის ორგანიზებით, კვალიფიკაციის ასამაღლებლად რომ გაემგზავრნენ ნოტინგემში. კადრები სერტიფიცირებისას მიღებულ ქულათა რაოდენობით შეირჩა. ცირა კრავეიშვილს უმაღლესი

120-დან 114 ქულა ჰქონდა. გამგზავრების წინ გასაუბრება გაიარეს.

ნოტინგემი რობინ ჰუდის მშობლიური ქალაქია. ცნობილი შერვუდის ტყით, ნოტინგემის სასახლით, ლონდონით და მთლიანად ინგლისით აღფრთოვანებაზე, ცოტა ქვემოთ, მანამდე კი...

ტრენინგები ნოტინგემის ენის კოლეჯში ჩაუტარდათ ინგლისელი პროფესორ-მასწავლებლების მიერ. პროგრამა სპეციალურად ქართველი პედაგოგებისთვის იყო შედგენილი. "ძალიან გაუკვირდათ, როცა გაიგეს, რომ ყველა კლასს ვასწავლიდით, დაწყებითიდან დამამთავრებლის ჩათვლით. იქ სპეციალიზაცია სხვადასხვა საფეხურის მიხედვით ხდება". _ ამბობს ცირა მასწავლებელი. ამიტომ გახდა საჭირო პროგრამის სპეციალურად შემუშავება. ინგლისელი ტრენერები განსაკუთრებით კმაყოფილები დარჩნენ ქართველი პედაგოგებით. ქართველები კი "ტრენერებითაც და იმ ურთიერთობებით, ინგლისელებმა რომ გამოიჩინეს. არ მეგონა, ასეთი თბილები თუ იყვნენ, ცივ ხალხად ვიცნობდი ინგლისელებს. ქუჩაში რომ მიდიხარ, სრულიად უცნობი ადამიანი შემოგხედავს და გაგიღიმებს. გადასასვლელზე გადასვლისას მანქანა ჩერდება და გაგატარებს. არ არსებობს რიგში ვინმემ ვინმეს გაასწროს, იქამდე, რიგში, რომელიც ავტობუსის გაჩერებაზე შეიძლება დაგხვდეს". _ ჰყვება ინგლისურ შთაბეჭდილებებზე ცირა კრავეიშვილი.

ტრენინგები სწავლების უახლეს მეთოდებზე უახლესი მეთოდებით ჩატარდა. ისინი მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას გულისხმობდა და ამასთანავე, აქცენტი კეთდებოდა განსხვავებული შესაძლებლობების მოსწავლეების სწავლებაზე მაღალ კლასებში. ძირითადი მეთოდიკა უცხო არ ყოფილა ქართველი პედაგოგებისთვის, მაგრამ ტრენინგებმა განსაკუთრებით ბევრი მისცა ქართველ პედაგოგებს. "ინგლისური მოვისმინეთ მშობლიურ ენაზე მოსაუბრე მასწავლებლებისგან, სწავლების იქაურ მეთოდიკას გავეცანით და აგრეთვე ვნახეთ ის თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლითაც ინგლისში მიმდინარეობს სწავლება. უნდა აღინიშნოს და იქაც აღინიშნა, რომ ჩვენთვის უცხო არაფერი იყო, თუმცა დონე გაცილებით მაღალი გახლდათ. მაგრამ იმ ტექნიკური საშუალებებით, რაც ენის იმ კოლეჯში ვნახეთ, საქართველოშიც შეიძლება ქართველმა მასწავლებელმა მაღალი დონის გაკვეთილი ჩაატაროს". _ ხაზი გაუსვა პედაგოგმა.

კიდევ ერთხელ ხაზგასმად ღირს, რომ პედაგოგების ინტელექტი და განათლების დონე ნამდვილად არ განსხვავდებოდა იქაურებისგან და ეს ნოტინგემშიც არაერთხელ აღნიშნა. მსგავსი ტრენინგები საქართველოშიც ტარდება ჩამოსული ინგლისელი სპეციალისტების მიერ, მაგრამ ინგლისური გარემო განსაკუთრებული იყო ქართველი პედაგოგებისთვის. თითოეული მათგანი იქაურ ოჯახებში ცხოვრობდა, მთელი დღე ინგლისურ ენაზე უწევდათ საუბარი.

ამ ტრადიციულ ქვეყანაში ვერც თანამედროვეობამ გაანელა ტრადიციებისადმი პატივისცემა. "ქართველები ერთადერთი, სუფრით და მასთან დაკავშირებული ადათ-წესებით ვჯობნით. იქ სადილი ექვსის ნახევარზეა. ამ დროისთვის სახლში მისვლას თუ ვერ ასწრებ, უნდა დარეკო, რომ არ გელოდონ, უშენოდ ისადილონ ან სადილი შეგინახონ, თორემ შეიძლება, მშიერი დარჩე".

საქართველოში ჩამოსული ცირა კრავეიშვილი ნოტინგემის შთაბეჭდილებებთან ერთად იქ მიღებულ ცოდნას სამტრედიელ მოსწავლეებს უზიარებს. ინგლისურ სინამდვილესთან ერთ-ერთ განმასხვავებელ მიზეზად იმასაც ასახელებს, რომ საქართველოში გაცილებით მრავალრიცხოვანი კლასებია, 20-25 ბავშვი ბევრია უცხო ენის გაკვეთილებისთვის. "მცირერიცხოვან კლასში მასწავლებელს უკეთესად მიაქვს მოსწავლემდე ასახსნელი მასალა. ტექნიკურ სიახლეებში კი თანამედროვე დაფებით, კომპიუტერებით აღჭურვილ კლასებს ვგულისხმობ. მაგნიტოფონები ჩვენც გვაქვს, არის საშუალება, მოსასმენი მასალა ყველა ბავშვს მოასმენინო". _ ამბობს მასწავლებელი.

მსგავსი პროგრამები ფრანგული და გერმანული ენების პედაგოგებისთვის ყოველწლიურად გაიმართება. ამჯერად მაღალქულიან პედაგოგებზე გაკეთდა აქცენტი, მომავალში კი, სავარაუდოდ, ქულების მიუხედავად, უცხო ენის ყველა პედაგოგი მიიღებს მასში მონაწილეობას. ენის კოლეჯში ქართველი მასწავლებლები საჩვენებელ გაკვეთილებს თავადაც ატარებდნენ, აგრეთვე ესწრებოდნენ იქაური მასწავლებლების გაკვეთილებს.

დაბოლოს ის, რამაც ყველაზე უფრო გაახარა ინგლისში ქართველი პედაგოგები, ეშმოდინის ცნობილ მუზეუმში დაცული ქართული ხატები იყო, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ქვეყანაში ქართულ თვითმყოფადობასა და უდიდეს კულტურულ ტრადიციებზე მეტყველებდა.

აქ სიყვარული განსაკუთრებული შესაძლებლობაა

სიხარულს ისე გამოხატავენ, როგორც შეუძლიათ, მწუხარებასაც... სიყვარულიც განსაკუთრებული იციან და მოყვასის ფასიც. თუმცა, ამას მზერით, ქცევით, ცქერით გაგრძნობინებენ. ამ ბავშვებს ინკლუზიური ბავშვები ჰქვიათ, თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობები რომ არ არსებობს, აღნიშვნა ხშირად გვიწევს. წინასაახალწლოდ შშმ ბავშვთა დღის ცენტრ "ლამპარს" ბევრი სტუმარი ჰყავდა. № 1 ბაგა-ბაღის შენობაში განთავსებული ეს დაწესებულება ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს. № 1 ბაგა-ბაღში საახალწლო ზეიმზე მისული სკოლამდელი დაწესებულების დირექტორი და მისი თანამშრომლები გულგრილი ვერ დარჩნენ და აქაურ აღსაზრდელებს საჩუქრებით ხელდამშვენებულები ეწვივნენ. მათთან ერთად საკრებულოს წევრი ჯონი ხუჭუაც გახლდათ.

30 დეკემბერს "ლამპარს" კვლავ სტუმრები ჰყავდა, უთვალავი საჩუქრით, ტკბილეულით რომ მიულოცეს შობა-ახალი წელი. ამჯერად მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია, მისი მოადგილეები მამუკა თავაძე და ლიზა კრავეიშვილი, კულტურის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე და სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი ლევან ახობაძე გახლდნენ მოსანახულებლად მისულები. სურვილები კვლავაც კეთილი იყო, პირველ რიგში ჯანმრთელობა და მერე ყველა ნატვრის ახდენა, სულ ყველასი, რაოდენ ძნელიც არ უნდა იყოს ასახდენად.

ნათია გოგინაძე ამ ბავშვების პედაგოგია. იგი იმაზე საუბრობდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლებისგან ყურადღება არ აკლიათ. "წელს საშეშე მერქანიც გადმოგვცეს საჩუქრად. გვიხარია, რომ ამ სტუმრობით ჩვენს ბავშვებს ახალი წელი გაულამაზეს". პედაგოგს შუქია თვალაბეიშვილი და სვეტა ძნელაძე ეხმარებიან. ეს ის ადამიანები არიან, ყველაზე უფრო რომ ეიმედებათ აქაურ აღსაზრდელებს. "რაც შეგვიძლია, ყველაფრით ვცდილობთ ამ დღის ცენტრის ბინადრებს მხარში დავუდგეთ. ყურადღებას არც მომავალში მოვაკლებთ მათ". _ აღნიშნა ვალერი ფოცხვერიამ.

აქ შეღებული კარი, ღიმილიანი სახე ახალი იმედია. აქ ყველა უყვართ, აქ სითბო და თანადგომა არ იკარგება. ეს მათი განსაკუთრებული შესაძლებლობაა, ადვილად დასანახი და დასაფასებელი. ახალი წელი მათთვის ფეხბედნიერი დადგა, მათი იმედების გამართლებით აღსასვე და სიყვარულით გამთბარი.

თეა ბაბუნაშვილი

როცა 12 წლიანი შრომა გიფასდება

ნინო ნანიტაშვილი

5 იანვარს მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელობამ 2013-2014 სასწავლო წლების წარჩინებულ 36 კურსდამთავრებულს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაწესებული ოქროსა და ვერცხლის მედლები გადასცა. აქედან 25 ოქრო და 11 ვერცხლის მედალია. საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელობამ საქმის კურსში ჩააყენა ადგილობრივი ხელისუფლება და საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო.

კურსდამთავრებულებისთვის მედლების გადაცემის პატივი ერგოთ მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიას, გამგებლის მოადგილეს, ლიზა კრავეიშვილს, კულტურის სამსახურის უფროსს, ნატალია მანჯგალაძეს, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელს, თინათინ ხარძიანს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ელენე ბოხუას, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს სპეციალისტს, ალექსანდრე თევზაძეს.

თინათინ ხარძიანმა პარლამენტარ გიორგი კახიანის სახელით წარჩინებული სწავლისათვის ყველა მედალოსანს სიგელი გადასცა. თავიანთ გამოსვლებში სამტრედიელ წარჩინებულ ახალგაზრდებს მიულოცეს ახალი წელი და მომავალი წარმატებები უსურვეს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებმა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ და მაჟორიტარის დეპუტატის ბიურომ.

წარჩინებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა მე-3 საჯარო სკოლა. ეს უკანასკნელი გამორჩეულია იმითაც, რომ მისი კურსდამთავრებული, ოქროს მედალოსანი ბექა კაცაძე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე 100 პროცენტიანი გრანტის მფლობელია. უფრო მეტიც, ბექა კაცაძე სახელმწიფო უნივერსიტეტის საუკეთესო ათეულის წევრიც გახლავთ.

ბექა კაცაძე, 2013-2014 სასწავლო წლის ოქროს მედალოსანი: "დღეს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით წარჩინებული მოსწავლეები დაგვაჯილდოვეს მედლებით და ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო ამ მოსწავლეებს შორის. ზოგადად, კარგია, როცა გიფასდება 12 წლიანი შრომა და განსაკუთრებით სასიამოვნოა, იყო ოქროს მედალოსანი. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს მასწავლებლებს, რომელთა წვლილი ამ წარმატებაში უდიდესია".

ნატალია ორმოცაძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 პროცენტიანი გრანტის მფლობელი სტუდენტია და მე-9 საჯარო სკოლის მედალოსანი კურსდამთავრებულია. 5 იანვარს ჯილდოს მისაღებად სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ისიც დიდი სიამაყით მოვიდა: "მადლობას ჩემს პედაგოგებს ვუძღვნი, რასაც მივაღწიე, ეს მათი დამსახურებაა. ვფიქრობ, სამტრედიას აქვს ისეთი რესურსი, ქვეყანას კარგად მომზადებული ახალგაზრდობა აღუზარდოს".

ანი არველაძე ვერცხლის მედალოსანია. კერძო სკოლა "ცოდნის" სახელით მან ღონისძიების ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა: "მართალია, ეს ჯილდო არის სიმბოლური, მაგრამ ამით დაფასდა ჩემი თანატოლების შრომა".

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ელენე ბოხუამ წარჩინებულ ახალგაზრდებს სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სახელით ახალი 2015 წელი მიულოცა: "გისურვებთ მომავალ წარმატებებს. მადლობას ვუხდით იმ სკოლების პედაგოგიურ კოლექტივს, სადაც ასეთი წარჩინებული, ბეჯითი კურსდამთავრებულები აღიზარდნენ. კვლავაც ვუსურვებდით, ჩვენს წლევანდელ მედალოსნებს, გაემართლებინოთ იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც განაგრძობენ სწავლას. ასევე ვისურვებდი, ყველანი საუკეთესო პროფესიონალებად დაბრუნებოდნენ მშობლიურ სამტრედიას".

ალექსანდრე თევზაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი: "პირველ რიგში, ვულოცავ სკოლის წარმატებით დამთავრებას. ჩვენ გვაქვს ბედნიერება, ვმონაწილეობდეთ ამ ღონისძიებაში.

ბოლო წლებია წარმატებულ მოსწავლეებს ოქროსა და ვერცხლის მედლებს გადავცემ. ჩვენი მუნიციპალიტეტი ამ მხრივ გამორჩეულია. იმედი მაქვს, მომავალშიც ბევრი წარმატებული კურსდამთავრებული გვეყოლება".

ვალერიანე ფოცხვერია, მუნიციპალიტეტის გამგებელი: "ახალ წელს ვულოცავ სამტრედიელ ბეჯით მოსწავლეებს. 2014 წელი მათთვის განსაკუთრებული იყო. მინდა, 2015 წელი უფრო წარმატებული ჰქონდეს. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი სასიხარულოა ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის. რაც მეტი ნიჭიერი და განათლებული თაობა გვეყოლება, ეს ჩვენი ქვეყნის და ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმატებაა".

ლიზა კრავეიშვილი, გამგებლის მოადგილე: "მართლა დიდი პატივია ჩემთვის, ასეთი მისია რომ შევასრულე დღეს, მივულოცე ახალგაზრდებს ის წარმატება, რომელიც 12 წლის განმავლობაში იტვირთეს და ბოლომდე ღირსეულად ატარეს. დღეს ისინი სტუდენტები არიან. ვუსურვებ, სტუდენტობაც ასეთივე წარმატებული ჰქონოდეთ და სრულფასოვან მოქალაქეებად დაბრუნებოდნენ თავიანთ ქალაქს".

ნატალია მანჯგალაძე, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი: "მოხარული ვარ, რომ ამ ლამაზ ღონისძიებაში მონაწილეობა მეც მომიწია. რამდენიმე მედალოსანს გადავეცი მისი მონაპოვარი, მჯერა, ისინი ძლიერ სპეციალისტებად დაუბრუნდებიან ჩვენს მუნიციპალიტეტს".

"მანსანჯანი" საჯარო სკოლებს შორის საკონკურსო სახეს მიიღებს

სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში ერთი დღის განმავლობაში სამტრედიის საჯარო სკოლებს შორის "მანსანკანის 2014 წლის" ფესტივალი მიმდინარეობდა. ღონისძიების ინიციატორი და ორგანიზატორი გახლდათ საქართველოს "მანსანკანის" ნაკრების

ყოფილი წევრი არჩილ ბოხუა. მან კულტურის სამსახურს თხოვნით მიმართა, მისი ინიციატივისთვის მხარდაჭერა გამოეხატათ. მუნიციპალიტეტის გამგებელმა და კულტურის სამსახურმა სრული მხარდაჭერა გამოხატა და ფესტივალიც შედგა.

ქალაქისა და სოფლის ორი სკოლა იღებდა მასში მონაწილეობას. ფესტივალი კონკურსის ხასიათს არ ატარებდა. ფორმატი გუნდების მისალმებას ითვალისწინებდა და ზოგადად, წინა საახალწლო განწყობის შექმნას ემსახურებოდა.

ნატალია მანჯგალაძე, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი: "მივესალმებით ფესტივალის ჩატარებას, მივესალმები იმ ახალგაზრდებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ მასში, მათი მხრიდან იყო ამაღლებული განწყობა. აღნიშვნის ღირსია ის, რომ სამტრედიაში რამდენიმე წელია, მსგავსი რამ არ ჩატარებულა და რომ ჩვენ გვყავს უნიჭიერესი ახალგაზრდობა. "მანსანკანის _ 2014" არის საწყისი ეტაპი იმ დიდი ღონისძიებისა, რომელიც ჩვენმა სამსახურმა 2015 წლისთვის დაგეგმა; კერძოდ, "მანსანკანში" რაიონული შეჯიბრი საჯარო სკოლებს შორის".

ნინო ნანიტაშვილი

საახალწლო მეჯლისი მე-3 საჯარო სკოლაში

ბოლო წელია, მე-3 საჯარო სკოლაში საახალწლო კარნავალს ვეღარ იხსენებენ. ჰქონდა ამას, ალბათ, თავისი ობიექტური მიზეზები. თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ სკოლაში 2014 წლის 26 დეკემბრამდე ნაძვის ხე არ დადგმულა. წინა წლებშიც იმართებოდა საახალწლო ზეიმები, უამბიციოდ და ძირითადად, დაწყებით კლასებში.

წელს სკოლის ბიბლიოთეკის გამგემ, მზია უფრელიძემ მუსიკის პედაგოგთან, ანა აბზიანიძესთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება, ყველა კლასი გაეერთიანებინა და საერთო საზეიმო განწყობა შეექმნა.

მზადება ნოემბრის ბოლოდან დაიწყეს. ერთგვარი ქასტინგი ჩაატარეს. ორგანიზატორების სურვილი იყო, საახალწლო მეჯლისს ეფექტი რომ მოეხდინა, მხოლოდ რჩეული ნომრები წარედგინათ მაყურებლისთვის. ასეც გამოუვიდათ: პირველივე შთაბეჭდილება დარბაზის ინტერიერით დაიწყო. თოვლის იმიტაციას ქსოვილით ორიგინალურად დაფარული ჭერი იწვევდა, ხოლო დარბაზში მსხდომებს ისეთი განცდა ეუფლებოდათ, თითქოს დარბაზი თოვლის ფანტელში გაეხვეოდა.

საახალწლო მეჯლისის წამყვანებმა, სალომე ბოცვაძემ, გურამ მელქაძემ და არჩილ ივანიშვილმა გახსნეს. სალომემ და გურამმა სამეჯლისო ცეკვა შეასრულეს, რომელმაც დიდი ემოცია გამოიწვია.

მეორე კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით ყველა მოსწავლე იღებდა მონაწილეობას, თითოული მათგანი ცდილობდა, საუკეთესოდ წარმოეჩინათ თავიანთი კლასი.

ულამაზესი სანახავი იყო სანტას მიერ მორთმეული საჩუქრის ყუთი, საიდანაც მე-9 და მე-10 კლასელი ულამაზესი გოგონები ამოვიდნენ.

დიდი ეფექტი მოახდინა დაბურულ დარბაზში ფეიერვერკების გაშვებამ, რითაც ნამდვილი სადღესასწაულო ელფერი მიეცა საახალწლო მეჯლისს.

მაყურებელი ტაშით დიდხანს აჯილდოვებდა მე-2 კლასელ ანანო შენგელიას, რომელმაც უწყვილოდ სამეჯლისო ცეკვა შეასრულა.

მე-3 სკოლელები თანამედროვე სანტას არ დასჯერდნენ, მათ ტრადიციული თოვლის ბაბუაც ჰყავდათ. სანტამ კარნავალზე ევროპული ზღაპრის გმირები მოიყვანა, ქართველმა თოვლის ბაბუამ კი _ ქართული ზღაპრის გმირები. შესრულდა ქართული ცეკვა და როცა დარბაზში მაყურებელი მონაწილეებთან ერთად მთლიანად შევიდა როლში, ძნელი აღარ იყო მათი პროვოკაციაზე წამოგება. სწორედ მაშინ წამყვანებმა გამოაცხადეს "კონკურსი მხოლოდ პედაგოგებისთვის".

კონკურსი ცეკვაში გამარჯვებას გულისხმობდა, სადაც პირველობა მე-11 კლასის ხელმძღვანელმა, ნანა ფხაკაძემ არავის დაუთმო. კარნავალის მონაწილეებს დამდეგი ახალი წელი მიულოცა და მომავალში კიდევ ბევრი სურვილის შესრულება უსურვა სკოლის დირექტორმა, ვენერა ივანიშვილმა.

კარნავალის გვირგვინი იყო ანა აბზიანიძის მიერ შესრულებული სიმღერა "ფიფქებო", რომლის ფონზე მთელი დარბაზი ფეხზე იდგა, სტუმარიც და მასპინძელიც ცეკვავდა.

ნინო ნანიტაშვილი

№10 საჯარო სკოლამ გასული წელი საახალწლო კარნავალით შეაჯამა

თითქმის საუკუნე-ნახევრის ქალაქი სამტრედია ამაყობს და თავს იწონებს იმ უძველესი უბნებით, რომელთა შორის უპირველესი "ნახალოვკის" დასახლებაა. იქ მცხოვრებთ ოდითგანვე ახასიათებთ ყველასგან გამორჩეული ხიბლი და კოლორიტულობა.

ახალი 2015 წლის დამდეგს სამტრედიის № 10 საჯარო სკოლამ (დირექტორი თამარ თევზაძე) კარნავალზე მიგვიწვია. აფერადებული, სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმული ელოდნენ საღამის მონაწილეები სტუმართა შეკრებას. სალონურ სტილში გადაწყვეტილი გარემო მაყურებლებით აივსო, მოსწავლეებმა ნიობები მოირგეს და...

ღონისძიება დაიწყო. მისასალმებელი სიტყვით № 10 საჯარო სკოლის საინფორმაციო მენეჯერი ეკა მხეიძე წარსდგა და აღნიშნა, რომ "ყოველწლიურად, ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანი გაჭირვებაში" აცხადებს სხვადასხვა სახის კონკურსს. 2009 წლის შემდეგ, წლეულს გადავწყვიტე, დამეწერა პროექტი "გზა ინტეგრაციისაკენ", რომელიც მიზნად ისახავს იანეთის მე-9 უბანში მცხოვრები კომპაქტურად ჩასახლებული მესხების საზოგადოებაში ინტეგრირებას. მას შემდეგ, რაც გამარჯვებულებად გამოცხადდით, ჩვენი სკოლის თვითმმართველობის წევრებთან ერთად დავიწყეთ გარკვეული აქტივობების ჩატარება. ვესტუმრეთ მესხებს, ავიღეთ ინტერვიუ უხუცესისაგან, მოვაწყვეთ საინტერესო, შემეცნებითი ექსკურსიები და სკოლის ხელმძღვანელობის დიდი მხარდაჭერით შევძელით სკოლაში გამოგვეყო ერთი ოთახი "წიგნის კითხვის კლუბისთვის".

პროექტის განხორციელებისა და სისრულეში მოყვანის შემდეგ დავინახეთ შემაჯამებელი ღონისძიების ჩატარების აუცილებლობა. გადავწყვიტეთ, ეს ყველაფერი გაგვეერთიანებინა საახალწლო კარნავალთან და დახვეწილი სახით თქვენთვის წარმოგვედგინა".

მსმენელთა წინაშე მგალობელთა გუნდმა პედაგოგ ლელა ბოხუასთან ერთად შეასრულა "ალილო" და ასპარეზი წამყვანებს დაუთმო.

"შობის ღამე დგებაო, სასწაული ხდებაო, წმინდა სანთელს ავანთებთ ფანჯრის სარკმელზედაო" _ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ახალგაზრდები.

გულითადი მილოცვის, კეთილი სურვილების, მეკვლის რჩევა-დარიგების შემდეგ მოსწავლეებმა მრავალჟამიერი დაუგუნეს და ცეკვა "ქართულით" შეკრეს კამარა.

დამდეგის მოლოდინში წამყვანებმა გასული წელიც შეაფასეს და სკოლის მიღწევები, წარმატებები გაიხსენეს.

დასძინეს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში XI კლასელებმა: თეონა ზაქარეიშვილმა და ალეკო კაკაძემ კონკურსში "მე ომბუდსმენი" მე-3 ადგილი დაიკავეს და პრიზებით დაჯილდოვდნენ.

მონაწილეებმა გულდასმით მიმოიხილეს სამოქალაქო კლუბის მიერ სასკოლო თუ სარაიონო მასშტაბით განხორციელებული აქტივობები. მნიშვნელოვან მოვლენებად წარმოგვიდგინეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან და გაზეთ "სამტრედიის მაცნესთან" თანამშრომლობა. ასევე ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ სამოქალაქო განათლების პედაგოგი ეკატერინე ფოცხვერია იმერეთის წარმატებული მასწავლებლის ტიტულის მფლობელი გახდა.

ჩვენი გაზეთის მკითხველს კარგად ემახსოვრება №10 საჯარო სკოლის მიერ შემოთავაზებული ლამაზი საღამოები, რომელთა ჩატარებასაც ხელს სკოლაში არსებული საგნობრივი წრეები, განსაკუთრებით კი "ლიტერატურული სალონი" უწყობს.

"აჭარული", "ახალო წელო", "ლეზგინკა", "შობის ღამე", "მთიულური", "თენდება", "ტანგო" _ ცეკვას სიმღერა ენაცვლებოდა. დამსწრეთა განწყობაზე სკოლის მხიარულთა და საზრიანთა ჯგუფის წევრებიც ზრუნავდნენ.

ნიჭიერი გამომსვლელების ხილვით ემოციებს ვერ ფარავდნენ მესხი სტუმრები, რომლებიც სპეციალურად იმ დღისთვის ქალბატონი ეკა მხეიძისა და სკოლის გადაწყვეტილებით იყვნენ მოწვეულები.

საღამოს ორგანიზატორთა მიერ მოფიქრებული მხიარული თამაშები, ერთგვარი გამამხნევებელი აღმოჩნდა სტუმრებისა და პედაგოგებისთვის.

"ანდაზების კონკურსში" გამარჯვება არავის დაუთმო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა თამარ თევზაძემ, ხოლო სტუმართა ფლანგი, რომელშიც გამგებლის წარმომადგენელი ქალაქ სამტრედიაში თენგიზ ცაგურია, გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" დირექტორი ბეჟან გოგია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, საკრებულოს საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტი სალომე მიქელთაძე და № 12 საჯარო სკოლის (დირექტორი ხათუნა თელია) ისტორიის პედაგოგი მიხეილ სულაქველიძე შედიოდნენ, მაშინ გააქტიურდა, როცა ჯერი სადღეგრძელოებზე მიდგა. ბეჟან გოგიამ, თენგიზ ცაგურიამ სიყვარულით მოიგონეს მშობლიური სოფლა და იმიერში გარდასულ პედაგოგთა ხსოვნას პატივი მიაგეს. ბატონმა ბეჟანმა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" სახელით, ინტელექტუალურ შეკითხვაზე სწორი პასუხისთვის საჩუქარი დააწესა, რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს მარინა ცინცაძეს ერგო.

ქალბატონმა ნატალია მანჯგალაძემ დამდეგი 2015 წელი, შობის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა მონაწილეებსა და პედაგოგიურ კოლექტივს. წარმატებები, შინაარსიანი საღამოების ორგანიზება უსურვა მათ და მადლობა მოახსენა საინტერესო დღისათვის.

ღონისძიების ოფიციალური ნაწილის დასასრულს, წამყვანებმა, ამა თუ იმ ნომინაციაში დასახელებულთა გამოვლენით, კიდევ ერთხელ შეაჯამეს განვლილი წელი.

მოსწავლეთა დაჯილდოვების შემდეგ, ნომინაციაზე "წლის საუკეთესო მრავალშვილიანი დედა" სიმბოლურად ქალბატონი თამარ თევზაძე წარადგინეს, რომელმაც წარმატებით გაიარა დირექტორთა სასერტიფიკაციო გამოცდები და №10 საჯარო სკოლა მომავალი ექვსი წლით ჩაიბარა.

ნომინირებულთა შორის მოხვდნენ პედაგოგებიც: "წლის საუკეთესო გარდასახვა" _ ეკატერინე ფოცხვერია, "პოეზიაში ჩაძირული" _ მარინა ცინცაძე, "ნომინაციების დაუშრეტელი წყარო" _ მანანა ჯულაყიძე და მრავალი სხვა.

შესანიშნავი საღამო, რომელსაც: თეონა ზაქარეიშვილი, გიორგი ხუჭუა, ნანუკა აკოფოვა უძღვებოდნენ "მისტერ (გიორგი ხუჭუა) და მის (ქეთევან ჯანელიძე) კარნავალების" ვალსის ცეკვით დაგვირგვინდა.

ეროვა კაკაბაძე

„მე ვხედავ მზეს, შენ და კომპიუტერს"

ნათია ნაცვლიშვილი

თაოქარიძეების ოჯახში ბჭობა გაუმართავთ: სცენაზე დარეკანი დგას და ლუარსაბთან ნიეგზიანი ლობიოს უპირატესობაზე დავობს. პლანშეტით ხელში თოვლის ბებო ხმამაღლა ნატრობს, მათი სკოლაც ისეთი იყოს, 21-ე საუკუნის ქართულ სკოლას რომ ეკადრება. იუბერ, განათლების სამინისტრომ ჩვენი დიდი სურვილი შეასრულოსო, ნატრობენ ბავშვები "მე ვხედავ მზეს, შენ და კომპიუტერს, ჩვენ 4 კი გვაქვს, ხატია და გადასულნი ვართ მე-2 ტურში". _ ეს ხატიასა და სოსოიას დიალოგია, არც ხატია დაჭკვიანებია იმ დღეს ბაშის სკოლაში გამართულ საახალწლო კარნავალს, არც ზურიკელა და არც ბევრი სხვა პერსონაჟი ნოდარ დუმბაძის უკვდავი ნაწარმოებებიდან. ტორტსაც კი ჩოხა ჩააცვეს, რადგან კონკურსმა მოითხოვა ასე.

ემოციური, ხალისიანი, აზარტული, გემოვნებიანი, იუმორით გაჯერებული და ბევრი სხვა კომპონენტით იყო დატვირთული სკოლის უფროსკლასელთა მიერ მომზადებული საახალწლო ღონისძიება. ამ სკოლის მოსწავლეებმა დაამტკიცეს, რომ ისინი მართლაც ღირსეულად აგრძელებენ სკოლის მრავალწლიან ტრადიციებს და შესანიშნავ ცვლას წარმოადგენენ. შეჯიბრი შემდეგ ნომინაციებში გაიმართა: მაგიდის გაფორმება, სადღეგრძელოები, სიმღერები, სპორტი, იუმორი, ცეკვა, ლოგიკური ამოცანა, ლექსი საკარნავალო კოსტიუმი და ბოლოს, ლობისტების კონკურსი. იყო კონკურსს გარეშე საინტერესო ნომრებიც.

საღამო მეთერთმეტეკლასელ მარიამ ნაცვლიშვილს მიჰყავდა. ღონისძიების მომზადებაში განსაკუთრებული წვლილი მათემატიკის პედაგოგ მარინე ფხაკაძესა და ბიბლიოთეკარ ნონა ნიჟარაძეს მიუძღვით.

მე-10 კლასის ლობისტმა ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ბელა ცქეტიშვილმა ცეკვით შეპმატა ქულა გუნდს, მე-9 კლასის ლობისტმა მუსიკის პედაგოგმა ეთო ნიქაბაძემ _ სიმღერით, ხოლო მე-11 კლასის ლობისტმა, ომარ გერაძემ _ იოსებ გრიშაშვილის ლექსით.

ჟიურს სკოლის დირექტორი ციცინო ხაბალაშვილი ხელმძღვანელობდა, მის შემადგენლობაში შედიოდნენ: სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, მაყვალა კაშმაძე, ისტორიის პედაგოგი, ციალა ჭაფოძე, ქიმიის პედაგოგი, ნანა კოხრეიძე.

იყო ბევრი ლამაზად წაკითხული ლექსი, ემოციით ნამღერი სიმღერა და შესანიშნავად შესრულებული ქართული ცეკვა: მოსწავლეებმა "ტვინების ომიც" მოიგეს, რადგან ინტელექტუალურ შეჯიბრშიც კარგი შედეგი აჩვენეს.

მე-11 კლასელმა, ხვიჩა ჭანტურიამ თანამედროვე პოეტების ლექსების შესანიშნავი დეკლამაციით დაამახსოვრა თავი პუბლიკას. ასევეე ემოციით წაიკითხა ტიციან ტაბიძის უკვდავი პოეტური მარგალიტი მე-10 კლასელმა ვასილ კაშიამ. ხვიჩა ჭანტურიას მიერ ლექსად თქმულმა დედის სადღეგრძელომ ცრემლი მარტო წერილის ავტორს არ მოჰგვარა, 10 ქულას ცრემლებიც ზედ დაამატა ჟიურის წევრმა, პედაგოგმა ნანა კოხრეიძემ. რადგან ყველა გუნდი საუკეთესოდ იყო მომზადებული, პირველ ადგილზე მე-10, მეორეზე _ მე-11, მესამეზე კი, მე-9 კლასი გავიდნენ.

"ძვირფასო სტუმრებო, პატივცემულო საზოგადოებავ, პედაგოგებო, ბავშვებო, დღევანდელი კარნავალი იყო მართლაც მშვენიერი, შთამბეჭდავი, მას კონკურსი პირობითად ერქვა, ჩვენც შევუერთდით საერთო-საქვეყნო საახალწლო განწყობას, განვტვირთეთ ადამიანები ყოველდღიური ყოფითი პრობლემებისაგან, მადლობა მშობლებს, პედაგოგებს, საგაკვეთილო პროცესში შეიძლება ისე ვერ დაგვენახა ამ ბავშვების ნიჭიერება, როგორც დღეს დავინახეთ, ვუერთდებით თოვლის ბებოს და ბაბუს ნატვრას, ჩვენი ბავშვები მართლაც იმსახურებენ უკეთეს სასკოლო გარემოს, უკეთეს პირობებში უფრო კარგი ღონისძიებების მოწყობას შევძლებთ". _ განაცხადა სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ციცინო ხაბალაშვილმა, რომელიც 2 თვეა, რაც სკოლის დირექტორი გახდა.

რამაზ კაშია, გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ბაშში:

"პირველ რიგში, დამდეგ ახალ წელს მივულოცავ ჩვენს სკოლას, მის პედაგოგებს, ბავშვებს, მშობლებს, მადლობა დღევანდელი ლამაზი დღისთვის, ძალიან კარგად იყო ორგანიზებული, დიდი სიამოვნება მივიღე. ბაშის სკოლა პირადად ჩემთვის და ყველა ბავშვისთვის არის წმინდა კერა, მჯერა, ყველაფერს მიაღწევენ ეს ბავშვები, იმედი მაქვს, ისინი კარგ განათლებას მიიღებენ, ცხოვრებაში სწორ ნაბიჯებს გადადგამენ. აუცილებლად საჭიროებს ეს სკოლა რეაბილიტაციას სამირკვლიდან ჭერამდე, იმედი მაქვს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება ამ საკითხში დაგვეხმარებიან".

კოტე ნაცვლიშვილი, ბაშის მაჟორიტარი დეპუტატი, საკრებულოს წევრი:

"ამ საახალწლო საღამომ მართლაც მოლოდინს გადააჭარბა, გონებაგახსნილი ბავშვები არიან, ბაშის სკოლას ნამდვილი მამულიშვილები გაუზრდია, ქვეყანას რომ გამოადგნენ, იმედის თვალით შევცქერი მომავალს. მადლობა მინდა ვუთხრა ყოფილ დირექტორს ამ ხნის განმავლობაში გაწეული შრომისათვის, იმედი მაქვს, ახალი დირექტორი, ქალბატონი ციცინო ღვთის ნებითა ჩვენი და მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით, კიდევ ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებს. ბაშის სკოლაში ბევრი ტექნიკური საკითხია მოსაგვარებელი, ვცდილობთ, ჩვენი მომავალი თაობის აღმზრდელ კერას გვერდით დავუდგეთ, განათლების სამინისტრო და ადგილობრივი ხელისუფლება კი ხელს შეგვიწყობს."

ახალი წელი ზღაპრული სამყაროდან

თეა ბაბუნაშვილი

ზღაპრული სამყარო საოცრებების მომლოდინე ახალი წლის შესახვედრად, ქალაქის მეორე ბაგა-ბაღის საპუსიო დარბაზში მშობლებისა და სტუმრების გასაოცებლად და აღსაფრთოვანებლად მოაწყვეს. ჩანაფიქრი აუხდათ, შრომა დაუფასდათ, ყველაფერი მართლაც ქების ღირსი იყო. პატარებმა თოვლის ბაბუას, აღმზრდელებმა კი სტუმრების მადლობა დაიმსახურეს. კარგა ხნის შეურემონტებელი დარბაზი "უკეთესიც" კი გამოდგა აღმზრდელის თანაშემწის, ნანა კალაძის მხატვრული ჩანაფიქრის განსახორციელებლად. მას მიელი კოლექტივი ამოუდგა მხარში და... ასე შეიქმნა სცენის ლამაზი დეკორაცია.

ცეკვა-სიმღერაში ერთმანეთს გაჯიბრებული პატარები თოვლის ბაბუას საამებლად საზეიმო ფერხულში ებმებოდნენ. ყველა სიტყვა, ლექსის ყველა სტრიქონი, ამღერებული მელოდია ახალ წელს ასახამდა ხოტბას, ბავშვური გულწრფელობით ეფერებოდა და პატარა გულებიდან წამოსულ სიყვარულს უზიარებდა. თოვლის ფიფქებივით თეთრი ფერიები, ფიფქია მეგობარი ჯუჯებით, წითელქუდა, კომბლე და მისი ცხვრები ერთად ელოდნენ ახალი წლის შემობრძანებას და იმ საჩუქრებს, თოვლის პაპამ რომ დაურიგათ ტკბილეულით სავსე ხურჯინიდან.

მეორე ბაგა-ბაღის იმდღევანდელი სტუმრები და აღსაზრდელების მშობლები ალბათ დაგვეთანხმებიან, რომ აქ გამართული ღონისძიება ნებისმიერი დიდი ქალაქის მსგავსი დაწესებულებების სანახაობრივ ფუფუნებას თუ დასჯაბნიდა, თორემ არაფრით ჩამორჩებოდა. მუსიკის პედაგოგი ლელა ჯოგლიძე, რომელმაც თოვლის ბაბუს როლიც შემოქმედებითად მოირგო, რაიონის სინამდვილეში საუკეთესოთა რიგების სათავეში შეიძლება მოვიაზროთ. ასევე შეიძლება ითქვას პედაგოგებსა და მათ თანაშემწეებზე. ღონისძიებაში ბაღის ყველა ასაკობრივი ჯგუფი იღებდა მონაწილეობას. ორი გამოსაშვები ჯგუფი, პედაგოგების, ლუსია კობესოვასა და ეკა ადეიშვილის, 2-3 წლიანი ჯგუფი მასწავლებლის, ფიქრია ბოდოკიას, 3-4 წლიანი ჯგუფი აღმზრდელის, ხათუნა ტონიას და 4-5 წლიანი ჯგუფი მასწავლებლის, ნათია ხაჩიძის მონდომებისა და პროფესიონალიზმის წყალობით მაღალმხატვრულად წარსდგა სტუმრების წინაშე. მე-2 ბაგა-ბაღის მეთოდისტი იზო ხუჭუა აღნიშნავდა კიდეც: "ის, რაც ჩვენ ვნახეთ, დიდი შრომის შედეგია. არავინ მიწყენს, თუ ამ ასაკის ბავშვებთან მუშაობას აღმზრდელობით პროცესში ყველაზე რთულ საქმეს დავარქმევ. მიუხედავად ამისა, სკოლამდელ დაწესებულებას უდიდესი მიზიდულობის ძალა აქვს, აქ შემოსული პედაგოგი კარს ვერასდროს გაიხურავს".

ბაგა-ბაღის მმართველი, ინგა წიქვაძე მადლობას უხდიდა მშობლებს თანადგომისთვის, საკუთარ კოლექტივს კი _ მონდომებისთვის. პედაგოგების გვერდით თანაშემწეებისა და ძიძების როლზეც საუბრობდა: "თუ ამ ღონისძიებას წარმატებულად გვითვლით, ეს მთელი კოლექტივის დამსახურებაა. მადლობა ჩემს კოლეგებს ამ შრომისა და დაიბედეს აქაურმა აღსაზრდელებმა. დაიბედეს და ასეც იქნება.

მე-11 ბაგა-ბაღის ცხოვრება ყურადღებით

ნინო ნანიტაშვილი

სანიტარული პირობები აქაც დაიწუნეს, სველი წერტილები თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებსო. მაკონტროლებლის დასკვნამდე იგივეს ამბობდა № 11 ბაგა-ბაღის მმართველი. გოგოლა კარტოზიამ ამ მოთხოვნით ბევრჯერ მიმართა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელობას თუ ადგილობრივ მთავრობას. პასუხი დაახლოებით ერთი და იგივე ოყო: საშუალება არ არის და იმას დასჯერდით, რაც გაქვთო.

2014-2015 საალმზრდელო წელი სამტრედიის მუნიციპალიტეტში ხმაურით დაიწყო. ერთმა სანდალურმა ფაქტმა ხელისუფლება სკოლამდელების ყოფაცხოვრებით უფრო დაინტერესა. წლის ბოლომდე ბავშვთა აღზრდის ობიექტებში იმ უბნების მოწესრიგება დაიწყო, სადაც მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. მე-11 ბაგა-ბაღში სველი წერტილები გარემონტდა.

საახალწლო ზეიმზე მისულს გოგოლა კარტოზია პირველად სწორედ იმ ოთახისკენ გამიძღვა, სადაც პატარები დღეში რამდენჯერმე შედიან და იქაურ ჰიგიენას მათი ჯანმრთელობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. გახარებული მმართველი კმაყოფილებას ვერ ფარავდა იმით, რაც მის ბაგა-ბაღში ამ დღეებში ხდებოდა. "ერთი კვირა მიმდინარეობდა რემონტი და როგორც ხედავთ, სრულფასოვნად დამთავრდა კიდეც. ორივე სართულზე 8 უნიტაზი დაიდგა, 7 ხელსაბანი, პატარები ტუალეტში გასვლას რომ გვთხოვენ, გვიხარია, ვინაიდან აქ მათთვის ნორმალური ჰიგიენური პირობები გვაქვს შექმნილი. ერთადერთი, რაც არ მაკმაყოფილებს, დაუქლორავი წყალია, რომელსაც ყოფილი ხის დამმუშავებელი კომბინატის ავზიდან ვიღებთ. ამდენად, ამ წყალს სასმელად ვერ ვიყენებთ. პატარებისთვის წყალი მეზობელი ოჯახებიდან მოგვაქვს". გოგოლა კარტოზიამ მადლიერება გამოთქვა ადგილობრივი ხელისუფლების მისამართითაც: "ძალიან ყურადღებით გვექცევიან. ჩვენს პრობლემებს ყურადღებით ისმენენ და რეალურ დახმარებას გვიწევენ".

დადებითი განწყობით დარბაზისკენ გადავინაცვლეთ, სადაც 5-6 წლიანებს საახალწლო კარნავალი გაემართათ.

2015 წლის სურნელი მე-11 ბაღელებს წინასწარ მოეტანათ. საახალწლოდ მორთულ-მოკაზმული ნაძვის ხის ირგვლივ საკარნავალო ფორმებში გამოწყობილი გოგო-ბიჭების ჟრიამული იდგა. ნიჭიერი პატარები უფროსების ამაგს მიწაზე არ აგდებდნენ, სხაპასხუპით, შეუცდომლად კითხულობდნენ ლექსებს, მღეროდნენ, დგამდნენ სკეტჩებს. იღვრებოდა სტრიქონები ქრისტეშობაზე, ახალ წელზე, ნათლისღებასა და წმინდა ნინოს დღესასწაულებზე. ხელოვნური თოვლი ნამდვილი ზამთრის პეიზაჟს ჰქმნიდა და ნორჩებიც უფრო აჟიტირებულები უძღვნიდნენ თავიანთ ბავშვურ თვითშემოქმედებას წელიწადის უმკაცრეს და ულამაზეს დროს _ ზამთარს. თოვლის პაპას პატარები უსაჩუქროდ არც მე-11 ბაგა-ბაღში დაუტოვებია.

ზეიმის ბოლოს კარნავალის მონაწილეებს დამდეგი ახალი წელი საპატიო სტუმრებმა დაულოცეს. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების უფროსმა ხათუნა ახობაძემ და გაერთიანების სპეციალისტმა ქეთევან ივანიშვილმა 5-6 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელებს მილოცვის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობის საჩუქარი, ტკბილეულით სავსე პარკები გადასცეს.

მე-11 ბაგა-ბაღში კარნავალის ბოლოს პატარების მიერ შესრულებულმა მრავალჟამიერმა სამყაროს 2015 წლის მოახლოება აგრძნობინა.

საახალწლო მადლობა ყველაფერ მრომისთვის

იმ დარბაზში სხვა სამყარო იყო, საოცრებათა სამყარო, კეთილი ფერიებით სავსე. კონკიას ზღაპარი რეალობას ერწყმოდა, ფიფქია ჯუჯებთან ერთად ანცობდა, ალადინისა და ჟასმინის სიყვარული ისევ გაუხუნარი გახლდათ, წითელქუდა ბებოს ტკბილეულით სტუმრობდა და ტყის ხიფათებს მედგრად უმკლავდებოდა. მთელ საზღაპრეთს მოეყარა თავი ქალაქის № 1 ბაგა-ბაღის მუსიკის დარბაზში.

იქაურობა სიკეთით იყო სავსე ახალი წლის მობრძანების მოლოდინში. ცეკვა ქართულმა ლაზათიანად გაშალა მკლავი, ტანგომაც აიყოლა სამეჯლისოდ გამოწყობილი პატარა წყვილები და შტრაუსის ვალსზეც ბავშვურად დაიღვარა გრძნობა. სიმღერას ლექსი მიაყოლეს და თოვლის ბაბუასთან ერთად კვლავ ამღერდნენ "მოფრინავს ფიფქი თეთრი, ათასი განა ერთი..." იმ დარბაზში ღიმილი გულწრფელი იყო და იმედი იმედს იმედს აძლევდა, ნატვრის ასრულების წელი დადგებაო! ამის კი, პირველ რიგში, აქაურ აღსაზრდელებს სჯეროდათ. სტუმრები, მშობლები, ბებიები და ბაბუები ტაშით ამხნევებდნენ პატარებს. სამადლობელ სიტყვებს, რა თქმა უნდა, არც პედაგოგებისთვის იშურებდნენ, რადგან ამ ჯადოსნური სამყაროს შემოქმედი, სწორედ ისინი გახლდნენ.

საახალწლო ღონისძიებაში მონაწილეობა ბაგა-ბაღის ყველა ჯგუფმა მიიღო. მასწავლებლები, 2-3 წლიანი ჯგუფის, ირმა შენგელია, 3-4 წლიანის, ციცინო კელენჯერიძე, 4-5 წლიანის თამარ კორძაძე, 5-6 წლიანისა, კი ფიქრია სინატაშვილი, პატარებს ცეკვა-სიმღერაშიც ჰყვებოდნენ და ამ ღონისძიებით საკმაოდ რთული შრომის შედეგს აჩვენებდნენ დამსწრეთ. მუსიკის პედაგოგი ნათია ბოჭორიძე პატარებთან ერთად ჩაბმულიყო საზეიმო ფერხულში და ხმასაც ხშირად აშველებდა მათ.

ბაგა-ბაღის მმართველი, მარინა შენგელია საკუთარ კოლექტივს მადლობას უხდიდა და აღნიშნავდა, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში პედაგოგებს გაასმაგებული ნებისყოფა და შრომისმოყვარეობა მართებთ. ამ ღონისძიების მაგალითზე, ქალაქის № 1 ბაგა-ბაღში ეს საქმე ჩინებულად გამოსდით.

სტუმრებს შორის სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომლები იყვნენ. გაერთიანების დირექტორი ხათუნა ახობაძე ღონისძიებას წარმატებულს უწოდებდა და აღნიშნავდა: "საქმეში ჩაუხედავს იქნებ ადვილად მოეჩვენოს, ვინც ამ სფეროსთან ახლოსაა, იცის ცეკვა-სიმღერის უკან რა დიდი შრომა და მონდომება იმალება. მადლობა ბაგა-ბაღის კოლექტივს, მის ხელმძღვანელს ამ უღალატო შრომისთვის. კეთილი სურვილებით ვულოცავთ აქაურებს ახალ წელს ახალი წარმატებების იმედით".

დარბაზში ცეკვას სიმღერა სცვლიდა, თოვლის ბაბუა საჩუქრებს არიგებდა და ახალი წლის ბედნიერად დაბედების იმედი სულ უფრო ღვივდებოდა.

თეა ბაბუნაშვილი

გალაკტიონის დაბადების დღეს მიეძღვნა

სამტრედიის რაიონის სოფელ ტოლების საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა, პედაგოგ მარინა ხუჭუას ხელმძღვანელობით, ჩაატარეს დიდი მგოსნის, გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო, რომელსაც "გალაკტიონი და შემოდგომა" უწოდეს. ღონისძიება მოიცავდა პოეტის სრულ ბიოგრაფიას და შემოქმედებას. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა დიდი მგოსნის სიმღერები და ლექსები. სიმღერებს არანჟირებას უკეთებდა პედაგოგი ნათია კეშელავა.

გალაკტიონი საკაცობრიო მნიშვნელობის ხელოვანია, გალაკტიონის აზროვნების იმპულსები ღრმა და მიუწვდომელია. ამ დღეს ტოლების საჯარო სკოლის მოსწავლეები კიდევ ერთხელ ეზიარნენ დიდი გალაკტიონის შემოქმედებას, დარწმუნდნენ, რომ მგოსნის პოეზიაში აზრი და მუსიკა ერთ სიმაღლეზეა აყვანილი.

ნინო ჯაჭიოშვილი
XI კლასის მოსწავლე

საახალწლო

ახალი წელი მობრძანდებოდეს, ბევრი სიახლით და გამარჯვებით,
ნეტავ ისეთი დრო დადგებოდეს, წინსვლა მოგვქონდეს ჩვენივ მარჯვენით.
შენ ხომ დიდი გზა გამოგივლია, ზედ დაგმჩნევია შეუპოვრობა,
საჭირნახულო შენი "ბიბლია" დაგიწერია "ქართლის ცხოვრება".
მოიგერიე მონღოლთა ურდო, გავეშებული სპარსი და თურქი,
ითელებოდა ვერანი უნდო, გეღობებოდნენ ურდონი თუკი.
ბევრი ორგული მოიგერიე, მოყვარეს გულში იკრავდი მუდამ,
რატომ ჰგონიათ დიდ იმპერიებს, მათზე ნაკლებად მშვიდობა გვსურდა?!
იმ მკაცრ ბრძოლებზე წარსული უბნობს, თავისუფლება სულზე ტკბილია,
"ჩვენივე თავი ჩვენად გვეყუდნოს, შრომის სუფევა _ გვმოძღვრავს ილია.
არ აპატიეს როგორც ტიციანს, მამულზე ლოცვა, მისი შვილობა,
მას საქართველოს გაპარტახება გულზე ჰქონია, როგორც ჭრილობა.
ჭკუა-გონებაც ჰქონდათ ამისი, ჭვრეტდა მომავალს ყველა მათგანი,
არ ვარგა თუნდაც ოქროს სახნისი, რომ რკინის უნდა იყოს გუთანი.
ისტორიული ყველა ნანგრევი და შენი ძველი ოქროს საწმისი,
იყალთოს, გრემსაც ხვალ ის დაანგრევს, ვინც აგიფეთქა გუშინ საყდრისი,
შენთვის დაანთო ვინაც სანთელი, ვინც გაგიფანტა ჯანღი და ნისლი,
ყველა იმ გმირის ხსოვნა ნათელი, ვინც მხოლოდ შენთვის დაღვარა სისხლი
ჭირიც და ლხინიც ჰქონდათ საერთო, მტკიცე კავშირი ჩვენი ერისა,
სამშობლო უხმობს "იმერ-ამერთა", ვისაც გული აქვს ჩვენი შვილისა,
მოგშორდეს სულის მწვავე ვნებანი, უღელი გვედგას შენი მონისა,
დაგბედებოდეს გამარჯვებანი დავითისა და სოლომონისა.
შენი კლდე-კარი, შენი სამშვილდე, ციხე-ტაძრები, სამცხე, ეწერი,
მომილოცნია შენთვის სიმშვიდე, მომილოცნია ახალი წელი!
რანი, რუხი და კახეთ-ჰერეთი, ერწო, ურბნისი თუ ალავერდი,
სამეგრელოა თუ იმერეთი, და საირმეზე მწვანე ხავერდი.
ჩარგალის მთები, სულო ჩაგრულო, ვაჟა-ფშაველას სადაც უვლია,
შავ ზღვამდე აღწევს ხმები ჩაკრულოს, გურიაში კი კრიმანჭულია.
ბარში მღეროდნენ საწერეთლოში და დანიელაც ერთი ურია...
ამ სამოთხეში საქართველოში, სიცოცხლე თურმე, საამურია.
მაღალ სვანეთის გშვენის ზეგანი და აგვიგია იქ ეკლესია,
გფარავდეს ჩვენი ყველა წმინდანი, სარწმუნოება შენი წესია.
თუმც სიძნელენი ბევრი გიხილავს, მაინც წარსულის ხარ მადლობელი,
სად მოეწევა კაცი უხილავს, დღეს შევსვათ შენი სამადლობელი!
მალე შედგება ლუხუმი გორზე, გამოიღვიძეთ, რა დროს ძილია,
უკან სავალი როგორც დიდგორზე გმირების ძვლებით ჩახერგილია,
ტიკი, ტიკ-ჭორა, ბოღჩა და ბაღჩა, სულ სავსე გქონდეს მაგ გამრჯე ხელით,
მაშ, სასურველი სხვა რაღა დარჩა? მომილოცნია ახალი წელი!

მერაბ ჩაჩავა

კვლავაც დამოძღვრე ერი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, დიდ მეუფეს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს დიდი თავმდაბლობითა და უდიდესი სიყვარულით კულოცავთ დაბადების დღეს!

კავკასიონის მკაცრმა ბუნებამ
ბევრი გასწავლა კარგი,
სწრაფად ხვდებოდი კაცის ბუნებას,
იყო თუ არა კარგი.
გერგეთის მთიდან მონაბერ სიოს
თუკი იგრძნობდი ღამით,
ვიღაცა მაშინ შველას ითხოვდა,
არ აყოვნებდი წამით.
არ გაგივლია გზა მოფენილი
ვარდებითა და იით,
კაცი იყავი, გულთან მიგქონდა
გაჭირვებულის დარდი.
ოცდაჩვიდმეტი წელი გავიდა,
რომ ჩაგბარეს ერი,
ბევრი გაზარდე, კაცად აქციე
და შეაშველე ხელი.
ყოველდღე გასცემ სულიერ საზრდოს,
ღმერთკაცად გრაცხავს ბევრი,
შრომობ, აშენებ, ყველა კუთხეში
მამას გიწოდებს ერი.
თქვენ რომ გიყურებთ, გული მევსება
სიყვარულით და ვმღერი,
ღმერთია თქვენი გზების მკვლევარი,
ვერას დაგაკლებს მტერი!
მინდა გისურვო წელთა სიმრავლე
და სიხარული ბევრი,
დიდხანს იცოცხლე, ერის ბერმუხავ,
კვლავაც დამოძღვრე ერი!

დალი ღაგაშიძე-შენგელია
მაცხოვრის ფერისცვალების
სახელობის ტაძრის მრევლი

რაც დავიწყებით არ იბინდება

ნათია ნაცვლიშვილი

ადამიანს, რომელიც უნდა გავიხსენოთ, იმიტომ არ დავახასიათებთ თბილად და იმიტომ არ შევამკობთ კარგი სიტყვებით, რომ მსოფლიოში გავრცელებულ წესს დავემორჩილოთ _ მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერსო!

შამშე კუკანია ის ადამიანი იყო, რომელზეც თანაქალაქელები ყოველთვის სიყვარულით საუბრობდნენ. ვინც მას იცნობდა, ვისთანაც მას უმუშავნია, ყველა თბილად ახასიათებს და იხსენებს ამ ადამიანს, ამიტომაც მოკრძალებული წერილით ჩვენც გავიხსენებთ მას.

1931 წელს დაიბადა მარტვილის რაიონის სოფელ დიდჭყონში. წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის სატყეო ტექნიკუმი, შემდეგ მოსკოვის უმაღლესი სატყეო-საინჟინრო ინსტიტუტი.

1960-67 წლებში მუშაობდა საჩხერის ხე-ტყის დამზადების ბაზაში მთავარ ინჟინრად, ენგურის ხე-ტყის დაცურების კანტორაში უბნის უფროსად.

1967 წლიდან ბატონი შამშე სამტრედიის რაიონის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი გახდა. მუშაობა დაიწყო ტრესტ "საქკვებრემშენი" №6 სარემონტო საამშენებლო სამმართველოში მწარმოებლის თანამდებობაზე. შემდეგ ამავე სამმართველოს უფროსი იყო. ბოლო წლებში მუშაობდა ხდკ-ში მშენებლობის განყოფილების უფროსად. არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი, მისი ხელმძღვანელობით არ აშენებულიყო: ლუდისა და ლიმონათის ქარხანა, ხდკ-ს საცხოვრებელი კორპუსები, რუსთაველის ქუჩაზე საცხოვრებელი ბინები.

"ამერიკელები ამბობენ: გენეტიკურად გადადის არა მხოლოდ ხასიათის თვისებები, ნიჭიერება ან თუნდაც თმის ფერი, არამედ, თვით ბედისწერაცო. ის საოცრად მსგავსი ყოფილა თავისი ბაბუისა _ ალექსი ბეჭვაიასი, რომელსაც საოცრად ჰგვანებია კაცურკაცობით, სტუმართმოყვარეობით, წიგნიერებით... უყვარდა ხალხს, მეგობრებს, "მართალი ალექსის" სახელით იცნობდნენ სოფელში. სიკვდილიც მსგავსი ჰქონდათ _ ტრაგიკული.

მისი ცხოვრების კრედო მხოლოდ კაცური კაცობა გახლდათ. იგი ფერს მატებდა რაიონის სილამაზეს და გარკვეული წვლილი შეჰქონდა მისი აღორძინებისა და წინსვლის საქმეში, ყველგან, სადაც კი უმუშავნია, გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით, საქმისადმი ერთგულებითა და თანამშრომლებისადმი კოლეგიალობით. უყვარდა თავისი საქმე და ხალხი. მისი კარი ყოველთვის ღია იყო ყველასათვის. იცოდა სხვათა აზრის მოსმენა და გაზიარებაც. დახმარებისათვის სათხოვნელად მისულთ ყურადღებით უსმენდა, რა დახმარების გაწევაც შეეძლო, იქვე ჰპირდებოდა შვილის სათხოვნელად მისულ ადამიანს, არ უყვარდა რაიმეს მიკიბ-მოკიბვა, არც მის გარშემო ატეხილი ხმაური, ქება და დიდება.

ყველაფერს აკეთებდა უხმაუროდ, სხვათა გასახარად, ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ. ცხოვრების ასეთი წესით გვმოძღვრავდა. ასევე გვასწავლიდა შვილებსაც, თუმცა, ბოლომდე ვერ დატკბა _ ვაჟიშვილების ბედნიერებას ვერ მოესწრო.

ჩვენს ოჯახში ერთი ტრადიცია გრძელდება და თაობებს გადაეცემა. ეს ტრადიცია, _ 25 დეკემბერია, "მამის დღე" _ შენი დაბადების დღე. მშვიდად იძინე, ღირსი ხარ, გენთოს წმინდა სანთელი. მუდამ ნათელში იყოს შენი ფაქიზი და ამაღლებული სული". _ იხსენებს შვილი დავით კუკანია.

ია მაჩიტიძე _ ოდილავაძის გამოსათხოვარი

6 დეკემბერს, გვიან ღამით გარდაიცვალა სამტრედიელებისთვის კარგად ნაცნობი ქალბატონი, ია მაჩიტიძე-ოდილავაძე. იგი უახლოეს წარსულში ჩვენი მუნიციპალიტეტის წამყვანი მეან-გინეკოლოგი იყო. მისი სახელი წარუშლელ კვალს ტოვებს ჩვენს რაიონსა და დასავლეთ საქართველოში. ია მაჩიტიძე-ოდილავაძის უდიდესი ნიჭის კვალობას უკავშირდება უამრავი ახალი სიცოცხლის მოვლინება და გადარჩენილი ქალბატონების სიცოცხლე. მან აღზარდა მრავალი ახალგაზრდა მეან-გინეკოლოგი. ყოფილი სამშობიარო სახლი დიდი გულისტკივილით ეთხოვება ღირსეულ ექიმს, დიდ მეგობარს, საყვარელ კოლეგას. ღმერთმა დაუმკვიდროს მარადიული სასუფეველი.

ჭიშელი სამშობიარო სახლის თანამშრომლები

გული რომ ფიქრად იყოს ქცეული

ბაბუაი ტორონჯაძის ხსოვნას

რამდენადაც გულისხმიერია ადამიანი, იმდენად მტკივნეულია მასთან განშორება. ვიზუალურადაც კი არ ვიცნობდი, ფული გამომიგზავნა დავით ნიკოლეიშვილის და აწ გარდაცვლილი ნუგზარ პატარიძის ხელით. ამით გარკვეული წვლილი შეიტანა ჩემი წიგნის "ქრისტეს გზით" გამოცემაში. წიგნი გამოვეცი, ისიც კი ვერ მოვახერხე, პირადად გადმეცა, მოსკოვში გადავიდაო, მითხრეს სამოღვაწეოდ. მეგობრების ხელით გავუგზავნე იგი. ეს იყო და ეს!

დღეს ათი წლის შემდეგ გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" ფურცლებიდან გავიგე გარდაცვლილა. სხვა რაღა დამრჩენოდა, თაფლის სანთელი არ ამენთო წმინდა ხატების წინაშე მისი სულის მოსახსენებლად. დაე, ასე იყოს, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

დავით ჩირგაძე

ნონა ნაცვლიშვილის გახსენება

15 იანვარი შენი დაბადების დღეა, ოჯახის წევრები, ახლობლები, მეგობრები, მოვალთ შენს საფლავთან და ყვავილებით შევამკობთ მას. კიდევ ერთხელ გავიხსენებთ იმ მართლაც ბედნიერ დღეებს, ერთად რომ ვიყავით.

ღირსეული ქალბატონი, მეუღლე, დედა და ბებია წლების მანძილზე ემსახურე ახალგაზრდების აღზრდის საქმეს. ამაგი დაგიფასდა, მრავალი პრესტიჟული ტიტულისა და ჯილდოს მფლობელი იყავი.

მშვიდად იძინე ჩვენო ძვირფასო ადამიანო. დავიწყების ბინდი არასოდეს დაჩრდილავს შენს სახელს, შენს ნაღვაწს.

ნათელში დაავანოს უფალმა შენი სპეტაკი სული.

ოჯახი

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს რუსუდან მუქერიასა და დათო მახათაძეს ბიძის

გიორგი ხელაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს რუსუდან მუქერიასა და დათო მახათაძეს ბაბუის

ნიკალა გორგაძის

გარდაცვალების გამო.

ელექტროსამონტაჟო სამმართველოს ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ ბენიამინ ბალანჩივაძეს

დედის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ვენერა კაჭახიძე, ლევან გაბეჩავა, მურად გელეიშვილი, შუქრი ურუშაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, კეთილშობილი ქალბატონი

თინა ნუცუბიძე-ბალანჩივაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დრო დროზე ჩქარა მიჰქროდა

განწყობა საახალწლო გახლდათ. სიტუაცია სამტრედიისთვის უჩვეულო _ შობას ქალაქის მთავარ ნაძვის ხესთან დიდი თავყრილობა გახლდათ. შამფურზე მწვადი შიშხინებდა იმერული სტუმარ-მასპინძლობით, სხვადასხვა გამოფენაც მოეწყო და ქართული "მრავალჟამიერიც" ატკბობდა სმენას. სანამ დღე პოპულარული ქართველი მომღერლების კონცერტით დასრულდებოდა, ვაგზლის მიმდებარე მოედანზე ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე და იმერეთის გუბერნატორის მოადგილე ალექსანდრე იოსებაშვილი ჩამოვიდნენ თანმხლები პირებით. გივი ფრანგიშვილის რამდენიმე ნახატი განსაკუთრებით მოეწონა ვიცე-პრემიერს. ნათია კაცაძის ნამუშევრებით-აც დაინტერესდა ქართული ორნამენტებ-ით რომ გახლდათ მოქარგული. პირველი საჯარო სკოლის მეოთხეკლასელების ხელნაკეთი წიგნებით სავსე მაგიდასთან ყველაზე დიდხანს დაჰყვეს სტუმრებმა. სკოლის დირექტორი ხათუნა ფაილაძე საკუთარი მოსწავლეების მიერ განხორციელებულ პროექტზე ესაუბრა მათ. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელებმა სიმღერაც შეუსრულეს სტუმრებს. ბავშვური ომახიანობით მოსძახეს ქართული ფოლკლორის მარგალიტები და ტოლი არ დაუდეს ვაჟთა ანსამბლ "სამტრედიას". სამტრედიის მაჟორიტარმა, გიორგი კახიანმა ფანდურიც კი მოსინჯა მოსწავლე-ახალგაზრდობის ფოლკლორულ ანსამბლ "ჩანგის" წევრებთან ერთად. იმერული სტუმარ-მასპინძლობა ვახსენეთ და, ვინ გააკეთებდა ამ საქმეს ჩვეული ლაზათით, თუ არა რესტორანი "იმერეთი" და მისი ხელმძღვანელი სოსო თავაძე. მარნეულის საკონსერვო ქარხნის პროდუქცია იმ მოედანზეც გამოიფინა. კიტრის მწნილი განსაკუთრებით პოპულარული გახლდათ სადღესასწაულო დღეების ნაბახუსევზე. წარმოდგენილი იყო "ზედაზნისა" და "ნატახტარის" პროდუქცია.

"ამ დღის მასპინძელი კახა კალაძე გახლავთ. რა თქმა უნდა, საკუთარი წვლილი მუნიციპალიტეტის გამგეობამაც შეიტანა. შარშან ცოტა უკმაყოფილო დარჩა საზოგადოება, რადგან კონცერტი შობის წინა საღამოს გაიმართა. წელს ეს ხარვეზი გასწორდა. გვინდოდა, მეტი მასშტაბი ჰქონოდა დღეს ამ ღონისძიებას, მაგრამ ამინდმა არ შეგვიწყო ხელი. გილოცავთ ქრისტეშობას და ვისურვებ, განწყობა ჰქონოდეთ ადამიანებს დღესასწაულების დღესასწაულებად აღნიშვნის". _ ბრძანა გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავეიშვილმა. კეთილი სურვილებით შობის დღესასწაულის მოლოცვის შემდეგ კულტურის სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ ხაზი გაუსვა, რომ "გარკვეულწილად ვეცადეთ სადღესასწაულო დღეები გაგველამაზებია სამტრედიელებისთვის. კახი კალაძესთან ერთად ამ ღონისძიების თანაავტორები გახლავართ. ეს ჯერ სიახლეა, მცირე მასშტაბები აქვს. "სამტრედიობის" აღნიშვნას ვაპირებთ და მაშინ სანახაობა გრანდიოზული იქნება".

სამტრედიიდან სრულიად საქართველოსთვის შობა-ახალი წლის მილოცვის შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა იმერეთის გუბერნატორის მოადგილემ ალექსანდრე იოსებაშვილმა.

მესამე წელია საახალწლო სიურპრიზად კახი კალაძისაგან გრანდიოზული საკონცერტო სანახაობას იღებენ სამტრედიელები. თავად ვიცე-პრემიერი შობა-ახალ წელს ულოცავდა საზოგადოებას და აღნიშნავდა, რომ "უკვე მესამე წელია ამ ფორმით საახალწლო დღესასწაულებზე შეხვედრა ტრადიციად იქცა. ჩვენ რთული წლები გამოვიარეთ. თუნდაც ის ორი წელიწადი, როცა ხელისუფლებაში მოვედით, თუმცა, ბევრი მნიშვნელოვანი და სასიკეთო საქმე გაკეთდა. ასე გაგრძელდება მომავალშიც. ბედნიერი და ჯანმრთელი ყოფილიყოს სრულიად საქართველო არაერთ წელიწადს".

მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი შობას სამტრედიაში შეხვდა _ "მთელ ქვეყანას ფარავდეს ამ უდიდესი დღესასწაულის მადლი. წარმატებების, სიკეთის და გაძლიერების წელი ყოფილიყოს. წინ არაერთი გამოწვევაა და ღირსეულად გაგვეძლოს მათთვის. ტერიტორიული მთლიანობის და მნიშვნელოვანი სიახლეების წელიწადი დაგვდგომოდეს!" _ ისურვა მან.

დაბნელდა და ღამის სამტრედიის სილამაზემ სტუმრად ჩამოსული მომღერლები იმდენად მოხიბლა, ეჭვიც შეეპარათ, ეს სამტრედიაა? აღტაცებას ვერც ჩვენი ხონელი კოლეგა, გურანდა ცაგურია მალავდა. ამ განსაკუთრებულად მორთულ ქალაქში კონცერტიც განსაკუთრებული გაიმართა. "დრო დროზე სწრაფად მიჰქროდა", მღეროდა ნიაზ დიასამიძე და წარსულიდან დღემდე თვალწინ გარბენილი დრო უცებ გაგრძნობინებდა დროს, დროზე სწრაფად რომ რბოდა. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მომღერლები: ანი კეკუა, თინა მახალდიანი, სოფო ბედია, "ქუჩის ბიჭები". საღამო ამიოს და ფაქოს მიჰყავდათ და ფიქრის დრო აღარავის ჰქონდა. შობაც დაღამდა და ძველი ახალი წლის შეხვედრამდე სადღესასწაულო განწყობის შენარჩუნება საქართველოში, რა თქმა უნდა, საძნელო არასდროს არის.

თეა ბაბუნაშვილი

ახალ წელს გილოცავთ...

ნინო ნანიტაშვილს!

ჩვენო ნინო, სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, ბედნიერება, ოჯახური კეთილდღეობა, სამსახურებრივი წარმატებები, ახლობლებისა და მეგობრების სიყვარული არასდროს მოგკლებოდეს. ყოველი წელი მეტ სიხარულად, სიკეთედ შეგმატებოდეს.

გაიხარე, ღმერთი იყოს შენი შემწე!

"სამტრედიის მაცნე"

ეკა ცომაიას!

ჩვენო ეკა, დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს! ღირსეული დედა ხარ და იმსახურებ ბევრ სიკეთეს ცხოვრებაში. შენი ერთადერთი შვილის კეთილდღეობითა და წარმატებებით მუდამ გახარებული იყავი. გისურვებთ პროფესიულ წარმატებებს!

"სამტრედიის მაცნე"

ქალბატონ გულიკო გოგიტიძეს!

ვულოცავთ შვილიშვილის _ ტატო ჩაბრაძის დაბადებას! გვჯერა, პატარა ტატო მამის მსგავსად საქართველოს ღირსეული და სასახელო შვილი გაიზრდება და ქვეყნის მომავლის გაბრწყინებაში თავის წვლილს ისიც შეიტანს! ვუსურვებთ პატარას ბედნიერ მომავალს და ღვთის მფარველობას! უფალმა მისი მადლიანი კალთა გადააფაროს, საქართველოს კი ეამაყოს მისით!

"სამტრედიის მაცნე"

თამუნა ჯინჭველეიშვილს!

საყვარელო თამუნა, დაბადების დღეს გილოცავთ, ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ. შენი კარგი სწავლით გვახარებ, კარგი ქალობით და ღირსეული ქართველობით გაგეხარებინოს შენი დედიკო და ყველა შენი კეთილისმყოფელი. ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს!

"სამტრედიის მაცნე"

ზიკო ჯინჭარაძეს!

ჩვენო ზიკო! დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებულ, ბედნიერ მომავალს გისურვებთ, ცხოვრების ურთულესი აღმართები თავდაჯერებით, შრომით, ბრძოლით და შემართებით აგევლოს, ცოდნის მწვერვალები დაგელაშქროს და ჩვენ, შენს კეთილმყოფელებს შენი წარმატებებით გვეამაყოს!

"სამტრედიის მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა